



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეგზ. N 1

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი  
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„--13--“----12-- 2016 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის  
იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N74/36

01.01.2014წ. – 01.01.2016წ.

1. ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები .....	4
2. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები .....	7
3. შპს „ფორტექსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება .....	9
4. შპს „ჰორიზონტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება .....	10
5. საფეხბურთო კლუბ ცხინვალის ლიახვთან გაფორმებული ხელშეკრულებები .....	11
6. შპს „ალჰა+“-თან გაფორმებული ხელშეკრულებები .....	12
7. შპს „თბილავიამშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულება .....	16
8. GPS მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები .....	17
9. პოლოს მაისურების შესყიდვა .....	20
10. შპს „აია ტექსტილთან“ გაფორმებული ხელშეკრულება .....	21
11. საკვალიფიკ და პრეტენდენტთა გამოცდილების დამადასტურ დოკუმენტები .....	23
12. შპს „SANDIKO“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება .....	25
13. მიმწოდებლებისგან შესყიდვასთან დაკავშირებ დოკუმენტების გამოთხოვა .....	26
14. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა .....	27
15. ავტომანქან შეძენისას საგარანტ პერიოდში გაწეული ტექნიკური მომსახურებ .....	33
16. შრომის ანაზღაურება .....	35

## **დასკვნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. აუდიტის დროს შესწავლილი იქნა:

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
- საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულება.
- არასაბიუჯეტო შემოსავლების (ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული და სხვა) მიზნობრივად და ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულება.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა**

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ასევე დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

### **აუდიტის ჯგუფის პასუხისმგებლობა**

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისობის აუდიტი წარმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებული იქნას გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა დეპარტამენტის საქმიანობა კანონმდებლობას.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

## აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

### ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები

დეპარტამენტის დაფინანსების ძირითადი წყაროა გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები, მაგრამ ცალკეული ქვედანაყოფები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები 2015 წლის 1 იანვრამდე აკუმულირდებოდა კომერციულ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე, ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან ყველა შემოსავალი აკუმულირდება სახაზინო სამსახურში შესაბამისი სახაზინო კოდების მიხედვით.

დეპარტამენტის ბალანსში (ფორმა N1) ანგარიშებზე N1210, 1220 და N1240 (ანგარიშები ბანკში) 2014 წლის 1 იანვრისთვის ჯამურად ირიცხებოდა ნაშთი 4,414.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 2,689.1 ათასი ლარის ოდენობით. სახაზინო მომსახურებაზე გადასვლის შემდეგ 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დეპარტამენტის ბალანსში ანგარიშზე N1230 (მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის) ირიცხებოდა ნაშთი 1,310.8 ათასი ლარის ოდენობით. ანგარიშზე N1210 (მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში) ირიცხებოდა ნაშთი 3,032.1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული საბანკო ანგარიში გახსნილია სს საქართველოს ბანკში დარიცხული პროცენტის სახით შემოსავლების გაზრდის მიზნით. ამ ანგარიშზე სახაზინო ანგარიშიდან აკუმულირდება დროებით თავისუფალი სახსრები და ხარჯვითი ოპერაციები არ წარმოებს (ხარჯვის მიზნით თანხების გადატანა ხდება ისევ სახაზინო ანგარიშზე).

ანგარიშზე N1354 (მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით) 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა დავალიანება ჯამურად 296.7 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ნაწილობრივ წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის დარიცხულ საურავებს, ნაწილობრივ კი გაწეული მომსახურებებისთვის სხვადასხვა სუბიექტების მიერ გადასახდელ თანხებზე დარიცხულ ჯარიმებს. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი დავალიანებები: შპს „მასტერ სპორტს“ 2014 წლის 12 ნოემბრის Nგ/03/188/160 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოეშვა საურავი 177.6 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადახდილი არ იყო მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტს მიწოდებული საქონლის ღირებულება მისთვის სრულად ჰქონდა ანაზღაურებული (შემდგომი გადახდის პრინციპით). შპს „მედშენს“ 2014 წლის 30 ივლისის N01/452/70 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოეშვა საურავი 17.7 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასევე გადახდილი არ იყო მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტს შესრულებული სამუშაოების ღირებულება მისთვის სრულად ჰქონდა ანაზღაურებული (ასევე შემდგომი გადახდის პრინციპით). შპს „მათემოტორსს“ 2015 წლის 2 ივლისის N01/501/62 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოეშვა საურავი 55.8 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადახდილი არ იყო.

ანგარიშზე N1355 (მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით) 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 10,705.7 ათასი ლარის ოდენობით, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 9,871.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 10,634.2 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს გასული წლების დავალიანებებს. მაგალითად: 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „ნიუ ენერჯიზე“ ირიცხებოდა დავალიანება 1,979.6 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის 1736.0 ათასი ლარი წარმოშობილია 2010-2012 წლებში<sup>1</sup>. აღნიშნული პერიოდის მსგავსად 2013 წლის 7 თვის განმავლობაშიც (ივლისის ჩათვლით) დეპარტამენტის მიერ კვლავ გრძელდებოდა შპს „ნიუ ენერჯისთვის“ დაცვითი მომსახურების გაწევა საფასურის ანაზღაურების გარეშე, რის შედეგადაც დამატებით დარიცხულმა დავალიანებამ შეადგინა 243.6 ათასი ლარი. 2013 წლის აგვისტოდან 2015 წლის დეკემბრამდე პერიოდში დარიცხული მომსახურების ღირებულება (877.3 ათასი ლარი) საგარანტიო უზრუნველყოფის საფუძველზე გადახდილია სს საქართველოს ბანკის მიერ. 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „ქართულ პროდუქტს“ ერიცხებოდა დავალიანება 100.3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოშობილია 2008-2009 წლებში, შპს „ელექტროსისტემას“ ერიცხებოდა 1999-2005 წლებში წარმოშობილი დავალიანება 435.6 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერიცხებოდა 2003 წლამდე წარმოშობილი დავალიანება 400.7 ათასი ლარის ოდენობით. აღსანიშნავია ასევე, რომ შპს „ბორჯომის პარკზე“ რიცხული დავალიანება 297.8 ათასი ლარის ოდენობით დაფარული იქნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საშუალებით. თანხების ამოღებასთან დაკავშირებით სხვა მნიშვნელოვან შედეგებს ადგილი არ ჰქონდა.

ანგარიშზე N1359 (მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით) 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 66.1 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს გაქურდული დასაცავი ობიექტებისათვის ანაზღაურებულ თანხებს და მომდინარეობს გასული წლებიდან. აღნიშნული საკითხი დეტალურად განხილულია დეპარტამენტის 2010-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. აღნიშნული მოთხოვნები არასწორად არის ასახული ანგარიშზე N1359. თანხები ასახული უნდა იყოს ანგარიშზე N1480 (სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები) ან ანგარიშზე N1540 (სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები) იქიდან გამომდინარე თუ რა ვადაში (ერთ წელზე მეტი თუ ნაკლები) მოელის დეპარტამენტი დავალიანებების დაფარვას.

ანგარიშებზე N1431 (მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით) და N1432 (მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით) 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯამურად ირიცხებოდა ნაშთი 679.3 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის აღსანიშნავია შინაგან საქმეთა სამინისტროზე რიცხული დავალიანება 201.4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება სამინისტროს კრედიტორულ დავალიანებაში არ ერიცხება და გაურკვეველია დავალიანების რეალობა. აღნიშნულის შესახებ არაერთხელ იყო დაფიქსირებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გასული წლების ანგარიშებში, მაგრამ დეპარტამენტის მიერ საკითხი დღემდე გარკვეული და გადაწყვეტილი არ არის. აღსანიშნავია აგრეთვე საწარმო „სავანეზე“ (ი/მ „ზაზა

<sup>1</sup> წარმოშობის მიზეზები დეტალურად განხილულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2010-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში.

ჯაფარიძე“) რიცხული დავალიანება 324.4 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს 2002–2003 წლებში ფაქტობრივად შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს (დაცვის პოლიციის გლდანი-ნამალადევის რაიონის განყოფილების ოფისში) და რომლის მიღება-ჩაბარების აქტი დღემდე გაფორმებული არ არის, რის შედეგადაც ბალანსში ასახულია ფაქტობრივად არარსებული დავალიანება.

ანგარიშზე N1440 (მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით) 2015 წლის 1 იანვრისთვის ირიცხებოდა ნაშთი 197.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 174.5 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს ინვენტარიზაციების შედეგად გამოვლენილ დანაკლისებს (მათ შორის რეგიონებში), რომელთა ნაწილი მომდინარეობს გასული წლებიდან. ნაწილი მოძიებული და დაზუსტებული იქნა. როგორც ინვენტარიზაციის მასალებიდან გაირკვა გარკვეულ ნაწილზე მოკვლევები ჩატარებული აქვს შსს გენერალურ ინსპექციას და კონტრაზვერვის დეპარტამენტს.

ანგარიშზე N1540 (სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები) 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 3,844.2 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს ააიპ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდთან (შემდგომ ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო) წილის ნასყიდობის თაობაზე 2012 წლის 25 ივლისს გაფორმებული N01/04-07/12 ხელშეკრულების ფარგლებში შეუსრულებელ ვალდებულებას. კერძოდ, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დეპარტამენტმა ფონდს მიჰყიდა შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ 100% წილი, რისთვისაც ფონდს სამი წლის განმავლობაში დეპარტამენტისთვის გადავადებით სამ ეტაპად (2013, 2014 და 2015 წლების ივლისის თვეებში) უნდა გადაეხადა 3,844.2 ათასი ლარი. ფონდს ამ პერიოდის განმავლობაში არ გადაუხდია არცერთი ლარი, რაზეც დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით განსაზღვრული რეაგირება არ განხორციელებულა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილი 2015 წლის 10 ივლისის N5537/01 წერილით<sup>2</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოითხოვა განხილულიყო დავალიანების ჩამოწერის საკითხი იმ მოტივით, რომ ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს არ გააჩნდა ფინანსური საშუალებები და ამასთან ერთად ხელშეკრულების ორივე მხარე წარმოადგენდა სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფ იურიდიულ პირებს. აღნიშნული წერილი განსახილველად გადაეცა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, რომელმაც 2015 წლის 22 ივლისის N01600620 წერილით შსს სამინისტროს აცნობა, რომ თანახმაა მოხდეს დავალიანების ჩამოწერა. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის აღნიშნული საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ იყო. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“ დეპარტამენტის მიერ დაფუძნებული იქნა იმ მიზნით, რომ მიღებული შემოსავლები მოხმარებოდა დეპარტამენტისა და სამინისტროს განვითარებას, ასევე ის ფაქტი, რომ მისი გასხვისება განხორციელდა დაუსაბუთებლად<sup>3</sup>, მიზანშეწონილი იქნება დავალიანების ჩამოწერაზე უპირობოდ თანხმობის მიცემამდე დეპარტამენტის მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნას სასათბურე მეურნეობის უკან დაბრუნების შესაძლებლობა, რის შემდეგაც მიღებული იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2015 წლის 6 ივლისის N1467187 წერილზე საპასუხოდ.

<sup>3</sup> საკითხი დეტალურად განხილულია სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2010-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში.

ანგარიშებზე N3210 (მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები) და N3220 (აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები) 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა დავალიანება ჯამურად 1,348.2 ათასი ლარის ოდენობით, რომელთა უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა მიმდინარე დავალიანებებს (1,253.3 ათასი ლარი), ხოლო დანარჩენი (94.9 ათასი ლარი) გასული წლებიდან მიმდინარე დავალიანებებს.

საბალანსო ანგარიშზე N3251 „შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები“ 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა კრედიტორული დავალიანება 804.1 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ქვედანაყოფების სახელფასო დავალიანება შეადგენს 179.9 ათას ლარს (როგორც გასული წლების საბიუჯეტო დაუფინანსებლობით წარმოშობილი, ასევე მიმდინარე დავალიანებები). ხოლო 624.2 ათასი ლარი წარმოადგენდა საკუთარი შემოსავლების დაფინანსებაზე მყოფი ქვედანაყოფების დაუფინანსებელ ხელფასებს. გარდა ამისა დეპარტამენტს დამატებით, შრომის ანაზღაურების სახით, საბალანსო ანგარიშზე N3260 „ვალდებულებები დეპონენტების მიმართ“ ერიცხებოდა კრედიტორული დავალიანება 168.1 ათასი ლარის ოდენობით.

ანგარიშზე N3259 (სოციალური დაზღვევის ანარიცხები) ირიცხებოდა დავალიანება 658.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული სახის გადასახადის გაუქმების და ხანდაზმულობის გამო<sup>4</sup> დავალიანება ექვემდებარება ჩამოწერას, რაც არ განხორციელებულა მიუხედავად გასული წლების აუდიტის ანგარიშში მიცემული რეკომენდაციისა.

ანგარიშზე N3320 (სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები) 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა დავალიანება 964.3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენდა სს „ლიბერთი ბანკთან“ 2012 წლის 30 მაისს გაფორმებული დაცვის მომსახურების ხელშეკრულების (N211350928/01/01) ფარგლებში წინასწარ გადახდილი თანხიდან დარჩენილ მომსახურების ვალდებულებას.

### **გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები**

- 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დეპარტამენტის ბალანსში ანგარიშზე N2122 (სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი) ირიცხებოდა ნულოვანი ღირებულების სრულად ამორტიზებული სხვადასხვა დასახელების 116 ერთეული აქტივი, რომელიც ექვემდებარება საცნობარო მუხლში (ანგარიშზე N08 - ამორტიზებული ძირითადი აქტივები) გადატანას საწყისი (ისტორიული) ღირებულების მითითებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერამდე<sup>5</sup>.

- 2008 წლის 12 დეკემბერს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე დეპარტამენტს გადაეცა ქ. თბილისში, ვაჟა-

<sup>4</sup> არ ირიცხება დეპარტამენტის პირად ბარათზე შემოსავლების სამსახურში.

<sup>5</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების 47-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნა.

ფშაველას გამზ. N72-ში არსებული მიწისქვეშა ნაგებობა და მშენებარე შენობა (ღირებულებით 101.8 ათასი ლარი) მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით (ღირებულებით 2,251.8 ათასი ლარი). 2009 წლის განმავლობაში აღნიშნულ შენობა-ნაგებობაზე გაწეულია კაპიტალიზებული ხარჯები 315.8 ათასი ლარის ოდენობით, რაც დამატებულია ქონების ღირებულებაზე. შსს მინისტრის პირველი მოადგილის 2010 წლის 6 აგვისტოს N715 ბრძანების საფუძველზე აღნიშნული ქონება ჩამოწერილია ბალანსიდან. ბუღალტრული ანგარიშიდან ჩამოიწერა შენობის ნარჩენი საბალანსო ღირებულება, ხოლო 2009 წლის განმავლობაში მასზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები დარჩა ბალანსზე და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება როგორც აქტივი. აღნიშნულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს შენობის გადაცემის შემდეგ (2010 წელი) არასწორად ერიცხება წლიური ცვეთა 3.78 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, აღნიშნული შენობა მოხვედრილია ქონების გადასახადით დასაბეგრ ბაზაში, მაშინ როდესაც რეალურად ქონება არ არის სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთრებაში.

- 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება 2007-2014 წლებში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ გადაცემული ნულოვანი საბალანსო ღირებულების მქონე 21 ერთეული მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 45.3 ათასი მ<sup>2</sup>. ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით<sup>6</sup> სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, არაფინანსური აქტივები ფასდება რეალური ღირებულებით. მიზანშეწონილი იქნება განისაზღვროს მიწის ნაკვეთების რეალური (საბაზრო) ღირებულება და აღირიცხოს მის შესაბამისად.

- დეპარტამენტის მიერ შეძენილი 6 ცალი 12 კაციანი კარავი (საერთო ღირებულებით 8.3 ათასი ლარი) ბალანსში 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია ანგარიშზე N2111 (საცხოვრებელი შენობები) ნაცვლად ანგარიშისა N2122 (სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი).

- აუდიტის პერიოდში წარმოებდა ბალანსზე რიცხული დაჯავშნული ავტომანქანების ძრავების როგორც შეკეთება, ასევე გამოცვლა. გამოცვლილი ძრავები ინახება საწყობებში, თუმცა არ არის აღიცხული ბუღალტრულად. კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად<sup>7</sup> არ არის შედგენილი ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტები და ვარგისი ნაწილები არ არის ასახული ბალანსში მარაგების სახით. მაგალითად: მერსედესის მარკის ავტომანქანებს (SP639SP, SP602SP, SP611SP) გამოუცვალეს ძრავები (ინვოისები N122, 23.03.2015წ. N134, 15.09.2015წ. N92, 10.12.2015წ.), მაგრამ არ განხორციელებულა ზემოთ აღნიშნული პროცედურები.

<sup>6</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების 34-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით.

<sup>7</sup> საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად.



## შპს „ფორტექსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

ადმინისტრაციული შენობის მე-5 სართულის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა 2014 წლის 8 მაისს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140012287) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 335.2 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ექვსმა პრეტენდენტმა. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს-მ „ზურაბი 2008“ - 198.6 ათასი ლარის ოდენობით. 2014 წლის 3 ივნისის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის (N2) მიხედვით აღნიშნული პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ სისტემაში არ იყო ატვირთული ინფორმაცია გამოცდილების შესახებ. კერძოდ, პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება ბოლო ორი წლის განმავლობაში, რომელთაგან მინიმუმ ერთი მსგავსი ტიპის სამუშაოების ხელშეკრულების ღირებულება უნდა ყოფილიყო არანაკლებ 300.0 ათასი ლარის. შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა მომდევნო დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი - შპს „ფორტექსი“ სატენდერო წინადადების ღირებულებით 252.2 ათასი ლარი (სხვაობა 53.6 ათასი ლარი<sup>8</sup>). 2014 წლის 20 ივნისს დეპარტამენტსა და შპს „ფორტექსს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N01/454/53 ზემოაღნიშნული ღირებულებით.

შემოწმებით გაირკვა, რომ დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტს (შპს „ზურაბი 2008“) სისტემაში ატვირთული ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია გამოცდილების შესახებ, კერძოდ - 109.8 ათასი ლარის ანალოგიური სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. დეპარტამენტმა კანონმდებლობის შესაბამისად<sup>9</sup> არ მიმართა პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით. გაურკვეველია ასევე, თუ რას ეფუძნებოდა სატენდერო დოკუმენტაციით ისეთი მოთხოვნის დაწესება, როგორც იყო მინიმუმ ერთი მსგავსი ტიპის სამუშაოების ხელშეკრულების წარმოდგენა, რომლის ღირებულება უნდა ყოფილიყო არანაკლებ 300.0 ათასი ლარის<sup>10</sup>. სატენდერო დოკუმენტაციით გამოცდილებასთან დაკავშირებით სააგენტოს რეკომენდაციებთან შესაბამისი მოთხოვნების დაწესების შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა დაზოგილი ყოფილიყო ფულადი სახსრები (ზემოაღნიშნული სხვაობის ოდენობით).

მიზანშეწონილი იქნება დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ ტექნიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით მომავალში გათვალისწინებული იქნას ზემოაღნიშნული გარემოება.

<sup>8</sup> 252.2-198.6

<sup>9</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების მოთხოვნები.

<sup>10</sup> კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების მიხედვით შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს მხოლოდ წლიურად შესრულებული სამუშაოების ჯამური ოდენობისთვის.

## შპს „ჰორიზონტიან“ გაფორმებული ხელშეკრულება

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 8 ივლისს დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150019002) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 464.5 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს „ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობამ საქართველოში“ – 418.0 ათასი ლარი (რიგით მეორე პრეტენდენტთან შედარებით ერთი ლარით ნაკლები). აღნიშნული პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნდა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება. კერძოდ, ვერ წარმოადგინა მინიმუმ 1,000.0 ათასი ლარის ღირებულების შესრულებული ხელშეკრულება ანალოგიურ სამუშაოებზე (რაც მოთხოვნილი იყო სატენდერო დოკუმენტაციით). შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჰორიზონტი“, რომელთანაც 2015 წლის 8 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N01/454/87 ღირებულებით 418.0 ათასი ლარი.

გაურკვეველია, თუ რას ეფუძნებოდა გამოცდილების დამადასტურებელ კრიტერიუმად მინიმუმ 1,000.0 ათასი ლარის ღირებულების შესრულებული ხელშეკრულების წარმოდგენა<sup>11</sup>, მაშინ როცა შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ აღემატებოდა 500.0 ათას ლარს. როგორც შემოწმებით გაირკვა, 2015 წლის 26 აგვისტოს დეპარტამენტმა ქვემო ქართლის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150023566) შესყიდვის უფრო მაღალი სავარაუდო ღირებულებით (ვიდრე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში) – 628.2 ათასი ლარი. გამოცდილების დამადასტურებელ კრიტერიუმად ამ შემთხვევაში განსაზღვრული იყო მინიმუმ 500.0 ათასი ლარის ღირებულების შესრულებული ხელშეკრულების წარმოდგენა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მეორე შემთხვევაში ტენდერი გამოცხადებული იყო უფრო რთული კატეგორიის სამუშაოებზე – „მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები CPV45200000“, ვიდრე პირველ შემთხვევაში – „შენობის დასრულების (სარემონტო) სამუშაოები CPV45400000“. აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა იმ პრეტენდენტმა – შპს „ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობამ საქართველოში“, რომელიც პირველ შემთხვევაში დისკვალიფიცირებული იქნა.

გამოცდილების დამადასტურებელი კრიტერიუმების დაწესების მიმართ ასეთი არაადეკვატური მიდგომა წარმოშობს ფულადი სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკს (თუმცა ამ შემთხვევაში ეს არ მომხდარა პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების ღირებულებებს შორის ერთლარიანი სხვაობის გამო). ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტების მიმართ შეზღუდვების დაწესებისას გამორიცხული იქნას არაერთგვაროვანი მიდგომები. არ იქნას დაწესებული ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვთ და ხელოვნურად იწვევს დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაციას.

<sup>11</sup> როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამოცდილების შეფასების ასეთი კრიტერიუმი არ არის გათვალისწინებული სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციებში.

## ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ ცხინვალის ლიახვთან გაფორმებული ხელშეკრულებები

დეპარტამენტმა სარეკლამო მომსახურების შესყიდვის მიზნით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2014 წლის 10 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება N03/793/136 ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ ცხინვალის ლიახვთან. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 95.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 2014 წლის 11 სექტემბერს ქ. გორში ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ ცხინვალის ლიახვსა და შს სამინისტროს საფეხბურთო გუნდს შორის ამხანაგური მატჩის მსვლელობისას სარეკლამო მომსახურებით უზრუნველყოფა. კერძოდ, სპორტსმენთა მაისურებზე დაცვის პოლიციის ლოგოს განთავსება, დაცვის პოლიციის მოხსენიება მატჩის მიმდინარეობისას და სატელევიზიო ეთერების დროს, დაცვის პოლიციის ბანერის განთავსება სტადიონზე და მიმდებარე ტერიტორიაზე, პრეს-ბანერზე დაცვის პოლიციის ლოგოს განთავსება. იმავე დღესვე გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი და თანხა სრულად გადარიცხული იქნა.

ანალოგიურად, იგივე მომსახურების შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა ისევ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით (რომელიც ვერ იქნა დასაბუთებული) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ ცხინვალის ლიახვთან 2015 წლის 27 მარტს გააფორმა ხელშეკრულება N03/793/68 ღირებულებით 84.0 ათასი ლარი. მომსახურება უნდა განხორციელებულიყო ქ. გორში მორიგი ორი მატჩის განმავლობაში 30 მარტს და 1 აპრილს (კალენდარული და ამხანაგური). მატჩების დღესვე გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები და თანხა სრულად გადარიცხული იქნა. გარდა ამისა, დეპარტამენტმა ისევ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ ცხინვალის ლიახვთან 2015 წლის 8 ოქტომბერს გააფორმა ხელშეკრულება N03/793/167 ღირებულებით 141.6 ათასი ლარი. მომსახურება უნდა განხორციელებულიყო სამი კალენდარული მატჩის განმავლობაში. მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე სახელშეკრულებო თანხა მთლიანად გადარიცხული იქნა.

გარდა ზემოაღნიშნულისა აუდიტის პერიოდში იგივე მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იქნა ორი ტენდერი. კერძოდ, 2014 წლის 3 ოქტომბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (SPA140023237) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 170.0 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო, რომ გუნდი უნდა ფუნქციონირებდეს შიდა ქართლში და შემადგენლობის 1/2 დაკომპლექტებული უნდა ყოფილიყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობით, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა პირდაპირ მინიშნებას კონკრეტულ პრეტენდენტზე. კანონმდებლობის მიხედვით ტექნიკური მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა პროფესიული კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსების, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა საკითხების მიმართ. შესაბამისად სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტებისთვის რეგიონალური თუ ეთნიკური ნიშნით მოთხოვნების დაწესება ეწინააღმდეგება შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის

მოთხოვნებს<sup>12</sup>. ასეთი პირობებით ტენდერში ბუნებრივია მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბმა ცხინვალის ლიახვმა და გაიმარჯვა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით. 2014 წლის 7 ნოემბერს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება N01/793/118 ღირებულებით 200.6 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე აღნიშნული თანხა მთლიანად გადარიცხული იქნა. იგივე მომსახურების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 16 მარტს დეპარტამენტმა ანალოგიურად გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150008323) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 420.1 ათასი ლარი. პრეტენდენტების მიმართ ტექნიკური მოთხოვნები დაწესდა ზემოაღნიშნულის ანალოგიურად კანონმდებლობის დარღვევით. ტენდერში გაიმარჯვა ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბმა ცხინვალის ლიახვმა, რომელთანაც 2015 წლის 21 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N01/793/37 ღირებულებით 420.1 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე გადახდილია 336.1 ათასი ლარი. სულ აუდიტის პერიოდში აღნიშნული საფეხბურთო გუნდისთვის ჯამურად გადახდილი იქნა 857.3 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული გარემოებების, დეპარტამენტში მოპოვებული ინფორმაციის და არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

ზემოაღნიშნული შესყიდვები განხორციელებულია რეკლამის შედეგად მისაღები ფინანსური შედეგის წინასწარი გათვლის გარეშე. დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული ასევე რეკლამაში აღნიშნული სახით ჩადებული ინვესტიციიდან ფაქტობრივად მიღებული ფინანსური თუ სხვა სახის დადებითი შედეგი. დეპარტამენტის მიერ ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ ცხინვალის ლიახვის ანგარიშზე თანხების გადარიცხვა ფაქტობრივად წარმოადგენდა დაფინანსებას და არა სარეკლამო მომსახურების შესყიდვას. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლები და სახსრები მთლიანად ხმარდება დებულებით განსაზღვრული მისი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემის განვითარებას. მისი სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია<sup>13</sup>.

ზემოაღნიშნული სახის შენიშვნა დაფიქსირებული იყო დეპარტამენტის 2010-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში საფეხბურთო კლუბ „გორის დილასთან“ დაკავშირებით, მაგრამ შენიშვნა გათვალისწინებული არ არის.

### **შპს „ალპა“-თან გაფორმებული ხელშეკრულებები**

6000 ცალი უსადენო მოძრაობის დეტექტორის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 26 მარტს დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150009635) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 360.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა

<sup>12</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

<sup>13</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

პრეტენდენტმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „რადა“ - 264.8 ათასი ლარი, შპს „ჯი ეს სი“ - 297.4 ათასი ლარი და შპს „ალპა+“ - 356.4 ათასი ლარი. დაბალი სატენდერო წინადადების ფასების მქონე ორივე პრეტენდენტი (შპს „რადა“ და შპს „ჯი ეს სი“) დისკვალიფიცირებული იქნენ იმ მოტივით, რომ მათ ვერ წარმოადგინეს უსადენო მოძრაობის დეტექტორის სერტიფიკატი (EN50130 ან EN50131). შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „ალპა+“ და 2015 წლის 27 მაისს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება N01/384/46 ღირებულებით 356.4 ათასი ლარი.

როგორც შემოწმებით გაირკვა ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების პროცესში დეპარტამენტის მიერ არ არის გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული<sup>14</sup> რაციონალური ხარჯვის ვალდებულება შემდეგი გარემოებების გამო:

- ზემოაღნიშნულ ტენდერში სამივე პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული იქნა ერთი და იგივე საქონელი (უსადენო მოძრაობის დეტექტორი) წარმოშობის ქვეყნის (მექსიკის), მწამობლის (Honeywell International Inc.) და მარკის მიხედვით.

- სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი სერტიფიკატი (EN50130 ან EN50131) არ წარმოადგენს ექსკლუზიური გამოყენების მიზნით კონკრეტულად რომელიმე მიმწოდებელზე (რეალიზატორზე) გაცემულ დოკუმენტს. სერტიფიკატი წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტული დასახელების (მარკის) საქონლის შესაბამისობის მოწმობას, რომელსაც ადასტურებს მწარმოებელი.

- ზემოაღნიშნული სერტიფიკატი დეპარტამენტის მიერ არაერთხელ იყო მოთხოვნილი და წარდგენილი იგივე საქონლის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული წინა ტენდერების დროს (მაგალითად 2014 წელს გამოცხადებული SPA140015826 ტენდერის დროს). ყველა ასეთი ტენდერის დროს შპს „ალპა+“-ის მიერ დეპარტამენტისთვის წარდგენილი იქნა კომპანია Honeywell International Inc-ის მიერ 2007 წლის 14 აგვისტოს გაცემული შესაბამისობის მოწმობა, რომელიც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული არ წარმოადგენდა ექსკლუზივის რომელიმე პრეტენდენტისთვის და მის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი იყო იგივე საქონლის შეძენის მიზნით გამოცხადებულ შემდგომ ტენდერებში ნებისმიერი პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებით შეთავაზებული საქონლის შეფასება<sup>15</sup>.

- ტენდერში ვაჭრობის შედეგად ფასის მნიშვნელოვანი კლება (95.2 ათასი ლარით) მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება გაზრდილად იყო წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული შესყიდვის (SPA150009635) განხორციელებისას არ წარმოადგენდა აუცილებლობას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყოფილიყო მოთხოვნა EN50130 ან EN50131 სერტიფიკატის ყველა პრეტენდენტის მიერ უპირობო წარმოდგენასთან დაკავშირებით. მითუმეტეს მაშინ, როდესაც დეპარტამენტის მიერ ანალოგიური საქონლის შესყიდვებზე არაერთხელ გამოცხადებულ ტენდერებში სატენდერო დოკუმენტაციით საერთოდ არ იყო მოთხოვნილი ასეთი

<sup>14</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული.

<sup>15</sup> ბუნებრივია იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი საქონლის მოდელი მითითებული იქნებოდა ზემოაღნიშნულ დოკუმენტში. აღნიშნულ გარემოებას კი ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნულ ტენდერში.

სერტიფიკატი (მაგალითად SPA130003481 და SPA140005681). აღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში ტენდერში სავარაუდოდ გაიმარჯვებდა დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, რითაც დაიზოგებოდა დეპარტამენტის ფულადი სახსრები 91.6 ათასი ლარის ოდენობით (356.4-264.8).

ალტერნატიულ ვარიანტში დეპარტამენტს შეეძლო გამოეყენებინა კანონით მინიჭებული უფლებამოსილება<sup>16</sup> და შეეწყვიტა შესყიდვის პროცედურები, გამოეცხადებინა ახალი ტენდერი კორექტირებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით, რაც საშუალებას მისცემდა დაეზოგა ფულადი სახსრები.

ანალოგიურ გარემოებას ჰქონდა ადგილი უსადენო მაგნიტურ-კონტაქტური და უსადენო მინის მსხვრევის დეტექტორების შესყიდვის მიზნით დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 30 მარტს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში (SPA150009919) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 169.5 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღეს იმავე პრეტენდენტებმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „რადა“ - 136.5 ათასი ლარი, შპს „ჯი ეს სი“ - 136.5 ათასი ლარი და შპს „ალპა+“ - 169.5 ათასი ლარი. ზემოაღნიშნულ ტენდერშიც შპს „ჯი ეს სი“-ის და შპს „ალპა+“-ის მიერ შეთავაზებული იქნა ერთი და იგივე საქონელი წარმოშობის ქვეყნის (მექსიკის), მწამობელის (Honeywell International Inc.) და მარკის მიხედვით. დაბალი სატენდერო წინადადების ფასების მქონე ორივე პრეტენდენტი (შპს „რადა“ და შპს „ჯი ეს სი“) დისკვალიფიცირებული იქნენ. ამასთან შპს „ჯი ეს სი“ დისკვალიფიცირებული იქნა სწორედ ზემოაღნიშნული სერტიფიკატის წარმოდგენლობის გამო (რისი აუცილებლობაც არ არსებობდა). შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა იგივე შპს „ალპა+“, რომელთანაც 2015 წლის 25 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება N01/384/44 შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი ღირებულებით (169.5 ათასი ლარი). ზემოაღნიშნულის მსგავსად სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას არათანმიმდევრული მიდგომის გამო არაეკონომიურად გახარჯულია 33.0 ათასი ლარი (169.5-136.5).

ასევე, უსადენო მოძრაობის, მაგნიტურ-კონტაქტური და მინის მსხვრევის დეტექტორების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 24 თებერვალს დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140005681) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 176.5 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „ალპა+“-მა, რომელმაც გაიმარჯვა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით 176.5 ათასი ლარი. 2014 წლის 3 აპრილს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება N01/384/27 ზემოაღნიშნული ღირებულებით.

ასევე, უსადენო მოძრაობისა და მინის მსხვრევის დეტექტორების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 23 ივნისს დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140015826) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 189.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „ალპა+“-მა, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 184.9 ათასი ლარი. 2014 წლის 18 აგვისტოს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება N01/384/81 ზემოაღნიშნული ღირებულებით.

ზემოაღნიშნულ შესყიდვებში დაფიქსირებული ტენდენცია იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ალპა+“ ტენდერებში იმარჯვებდა სატენდერო წინადადებების ღირებულებებით,

<sup>16</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მინიჭებული.

რომლებიც ტოლი იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულების (ან მცირედით განსხვავდებოდა) მიუთითებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა ხდებოდა შპს „ალპა“-ს მიერ მიწოდებული ფასებიდან გამომდინარე მაშინ, როდესაც ზუსტად იგივე წარმოშობის და მარკის საქონელზე სხვა მომწოდებლების შეთავაზებები იყო უფრო მისაღები. აღნიშნული მიდგომა მიზანშეუწონელია და იწვევს ფულადი სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას.

გარდა ამისა, შპს „ალპა“-ის მიერ წარმოდგენილი დეტექტორების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით (საბაჟო დეკლარაციები C18787, 26.09.2014 და C23004, 20.11.2014 თანდართული ინვოისებით) გაირკვა, რომ 2014 წლის 18 აგვისტოს N01/384/81 ხელშეკრულების ფარგლებში დეპარტამენტისთვის მიწოდებული 2700 ცალი უკაბელო მოძრაობის დეტექტორი (Honeywell, 5800PIR-RES) და 300 ცალი უკაბელო მინის მსხვრევის დეტექტორი (Honeywell, 5853) იმპორტირებულია არაბთა გაერთიანებული ემირატებიდან. მოძრაობის დეტექტორის ერთი ერთეულის თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 17 აშშ დოლარი (ტრანსპორტირების ღირებულების ჩათვლით), რაც იმპორტის პერიოდისთვის არსებული კურსის (1.7574 ლარი/აშშ დოლარი) შესაბამისად შეადგენს დაახლოებით 29.9 ლარს. გასაყიდმა ფასმა შეადგინა 49.5 ლარი დღგ-ს გარეშე. ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 65%-ს. მინის მსხვრევის დეტექტორის ერთი ერთეულის თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 25 აშშ დოლარი (ტრანსპორტირების ღირებულების ჩათვლით), რაც იმპორტის პერიოდისთვის არსებული კურსის (1.7675 ლარი/აშშ დოლარი) შესაბამისად შეადგენს დაახლოებით 44.2 ლარს. გასაყიდმა ფასმა შეადგინა 76.2 ლარი დღგ-ს გარეშე. ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 72%-ს. 2015 წლის 25 მაისის N01/384/44 ხელშეკრულების ფარგლებში დეპარტამენტისთვის მიწოდებული 300 ცალი უსადენო მაგნიტოკონტაქტური დეტექტორის (Honeywell, 5816WMWH) ერთი ერთეულის თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 8.5 აშშ დოლარი, რაც რეალიზაციის პერიოდისთვის არსებული კურსის (2.4001 ლარი/აშშ დოლარი) შესაბამისად შეადგენს დაახლოებით 20.4 ლარს. გასაყიდმა ფასმა შეადგინა 55.0 ლარი დღგ-ს გარეშე. ფასნამატი თვითღირებულებაზე არაგონივრულია და შეადგინა დაახლოებით 169%.

ზემოაღნიშნული გარემოებებიც ადასტურებს, რომ სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრისას შპს „ალპა“-ის ფასებზე ორიენტირება მიზანშეუწონელია.

მიზანშეუწონელი იქნება დეპარტამენტმა მოიძიოს ქვეყნის გარეთ დეტექტორების (და სხვა ისეთი ანალოგიური ტექნიკის, რომელთა შემენას სისტემატიური ხასიათი აქვს) მომწოდებელი კომპანიები და მათი საშუალებით პირდაპირი გზით<sup>17</sup> აწარმოოს შესყიდვები (იმპორტი), რითაც მნიშვნელოვნად დაიზოგება ფულადი სახსრები.

<sup>17</sup> სათანადო დასაბუთების შემთხვევაში ეს შესაძლებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

## შპს „თბილავიამშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

4 ერთეული სპეციალიზებული (დაჯავშნული) ავტომანქანის (ფურგონი) შესყიდვის მიზნით 2014 წლის 11 მარტს დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140007015) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 451.8 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „თბილავიამშენი“ - 445.0 ათასი ლარი, შპს „ელსელემა“ - 368.0 ათასი ლარი და შპს „აიემ კავკასია“ - 315.0 ათასი ლარი.

სატენდერო კომისიის 2014 წლის 2 აპრილის სხდომის ოქმის (N2) მიხედვით დადგინდა, რომ ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „აიემ კავკასიას“ უნდა დაეზუსტებინა მისაწოდებელი ავტომანქანების წარმოშობის ქვეყანა, საბოლოო ფასების ცხრილი, მიწოდების ვადები და მიწოდების ადგილი. აღნიშნულის დაზუსტების შემდგომ გამართული სატენდერო კომისიის 2014 წლის 7 აპრილის სხდომის ოქმის (N3) მიხედვით გადაწყდა, რომ რადგან შეთავაზებული ფასი 20%-ზე მეტით იყო ნაკლები შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტისთვის დამატებით მოთხოვნილი ყოფილიყო ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთება, რის საფუძვლადაც მოტანილი იყო კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია. სატენდერო კომისიის 2014 წლის 28 აპრილის სხდომის ოქმის (N4) მიხედვით დადგინდა, რომ შპს „აიემ კავკასია“ დისკვალიფიცირებული ყოფილიყო იმ მოტივით, რომ მან ვერ წარმოადგინა ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთება. ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის გამო ასევე დისკვალიფიცირებული იქნა შემდეგი დაბალი სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტიც (შპს „ელსელემა“). შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „თბილავიამშენი“, რომელთანაც 2014 წლის 23 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება N01/341/43 ღირებულებით 445.0 ათასი ლარი. 2014 წლის 25 დეკემბრის შეთანხმების (N2) საფუძველზე აღნიშნული ხელშეკრულება (N01/341/43) შეწყდა იმის გამო, რომ შპს „თბილავიამშენი“ ვერ ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რისთვისაც მას დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 42.1 ათასი ლარის ოდენობით.

შედეგად ზემოაღნიშნული 4 ერთეული ავტომანქანის (დაახლოებით იგივე მონაცემების) შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (ავტომანქანების ჩანაცვლების მოტივით) 2015 წლის 22 იანვარს გააფორმა ხელშეკრულება N03/341/29 შპს „აიემ კავკასიასთან“ ღირებულებით 260.0 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (ერთეულის ფასი 65.0 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში). დეპარტამენტს მიმწოდებლისთვის უნდა გადაეცა 4 ერთეული ძველი ავტომანქანა ჯამური ღირებულებით 22.3 ათასი ლარი, ხოლო სხვაობა სახელშეკრულებო ღირებულებასა და გადაცემული ავტომანქანების ღირებულებას შორის უნდა გადაეხადა მიღება-ჩაბარების გაფორმების დღეს არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. ავტომანქანების მიწოდების შესაბამისად დეპარტამენტის მიერ შპს „აიემ კავკასიასთვის“ ეტაპობრივად გადახდილი იქნა ჯამურად 549.3 ათასი ლარი (ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულების გარდა).



ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების პროცესშიც დეპარტამენტის მიერ ასევე არ არის გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული<sup>18</sup> რაციონალური ხარჯვის ვალდებულება შემდეგი გარემოებების გამო:

- ტენდერის (SPA140007015) მიმდინარეობის პროცესში დეპარტამენტის მიერ ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტისგან დამატებითი მოთხოვნა ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთებასთან დაკავშირებით შესაბამისობაში არ არის კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციასთან იმ გარემოების გამო, რომ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით შემსყიდველს ასეთი მოთხოვნა აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გაეთვალისწინებინა სატენდერო დოკუმენტაციაში. სატენდერო დოკუმენტაციით კი ასეთი მოთხოვნა გათვალისწინებული არ არის. ხოლო პრეტენდენტებისთვის სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნისგან განსხვავებული დამატებითი მოთხოვნების დაწესება შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

- ზემოაღნიშნული დოკუმენტი (სააგენტოს რეკომენდაცია) შესყიდვის განხორციელების პერიოდისთვის (2014 წელი) არ წარმოადგენდა ნორმატიულ აქტს. ამასთან რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევისთვის, თუ კი შემსყიდველს ეჭვი გაუჩნდებოდა ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობის თაობაზე. გაუგებარია, თუ რატომ უნდა გასჩენოდა დეპარტამენტს ეჭვი იმ მიმწოდებლის მიმართ (შპს „აიემ კავკასია“), რომელთანაც არაერთხელ ჰქონდა ანალოგიური ხელშეკრულება გაფორმებული და ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით პრეტენზიები არასდროს ჰქონდა (მაგალითად 2013 წლის 2 აგვისტოს ხელშეკრულება N03/341/117). პრეტენდენტისთვის აღნიშნული სახის დამატებითი მოთხოვნის წაყენება ამ მხრივაც დაუსაბუთებელი იყო.

- შპს „თბილავიამშენთან“ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების ნაცვლად შესაძლებელი იყო დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო ახალი ტენდერი, რითაც სავარაუდოდ დაიზოგებოდა გარკვეული ფულადი სახსრები.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო არსებობდა შესაძლებლობა, რომ დეპარტამენტის მიერ დაზოგილი ყოფილიყო 214.5 ათასი ლარი<sup>19</sup>.

## GPS მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები

დაცვითი და სხვა აპრობირებული მომსახურებების გარდა დეპარტამენტი 2011 წლიდან აწარმოებს ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ავტომანქანების GPS მომსახურებას. მომსახურება წარმოებს შემდეგი სქემის მიხედვით:

<sup>18</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული.

<sup>19</sup> 549.3(გადახდილი თანხა)+22.3(გადაცემული ავტომანქანების ღირებულება)-42.1(მიღებული პირგასამტეხლო)-315.0(სატენდერო წინადადების ღირებულება).

აღნიშნული სახის მომსახურების მიღების მიზნით კლიენტი აფორმებს ხელშეკრულებას დეპარტამენტთან. დეპარტამენტი უკავშირდება შპს შპს „კასა ტრეიდს“, რომელიც ახდენს GPS/GPRS მოწყობილობის (ძირითადად Falcom GmbH გერმანია, FOX 3) მონტაჟს კლიენტის ავტომანქანაში. დასამონტაჟებელ GPS/GPRS მოწყობილობებს შპს „კასა ტრეიდი“ ღებულობს დეპარტამენტისგან (კლიენტის არსებობის შემთხვევაში), ხოლო მანამდე დეპარტამენტი აღნიშნული მოწყობილობების შეძენას ახორციელებს იმავე შპს „კასა ტრეიდისგან“ (ერთეულის შემენის ფასი 380-430 ლარი). მონტაჟის შემდგომ მომსახურებას აწარმოებს იგივე შპს „კასა ტრეიდი“ მის საკუთრებაში არსებული სპეციალური მოწყობილობის და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით (აღნიშნული მიზნით დეპარტამენტს მასთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება). მომსახურების საფასურს (რომელიც სხვადასხვა კლიენტებისთვის განსაზღვრულია სხვადასხვა ოდენობით - თვეში 20 ლარიდან 40 ლარამდე თითო ავტომანქანაზე დღგ-ს ჩათვლით) კლიენტი უხდის დეპარტამენტს. აღნიშნული თანხიდან დეპარტამენტი შპს „კასა ტრეიდს“ უხდის თვეში 10 ლარს (თითო ავტომანქანაზე). ამასთან კლიენტის ავტომანქანაში დამონტაჟებული მოწყობილობა არ გადადის კლიენტის საკუთრებაში და მას მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცემა (მისი შეძენის ხარჯის ანაზღაურება კლიენტის მიერ არ ხდება), რის შედეგადაც მოწყობილობების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა მთლიანად წარმოებს დეპარტამენტის ფულადი სახსრებიდან. გარდა ამისა, აღნიშნული სახის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით დეპარტამენტის მიერ წარმოებს კავშირგაბმულობის ხარჯების გადახდა შპს „მაგთიკომისთვის“.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე აღნიშნული სახის მომსახურების გაწევის პროცესში დეპარტამენტი არ ასრულებდა არანაირ როლს, გარდა შუამავლისა. მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ფუნქციას ასრულებდა შპს „კასა ტრეიდი“.

რაც შეეხება აღნიშნული სახის საქმიანობიდან მიღებულ ფინანსურ შედეგს, დეპარტამენტის საფინანსო სამსახურის მიერ მოწოდებული 2013-2016 წლების შემოსავლებისა და ხარჯების მაჩვენებლების ანალიზით მიღებული იქნა შემდეგი მიახლოებითი შედეგი:

(ათას ლარებში)

	2013წ.	2014წ.	2015წ.	2016წ. 8 თვე
1. შემოსავალი დღგ-ს გარეშე	248.4	363.9	521.8	356.1
2. კავშირგაბმ ხარჯები (შპს „მაგთიკომი)	51.0	61.3	92.4	66.8
3. GPS მომსახურება (შპს „კასა ტრეიდი“)	130.6	155.7	231.5	166.2
4. დამონტაჟ GPS მოწყობილ რაოდენ (ცალი)	1472	1919	2439	2642
5. დამონტაჟ GPS მოწყობილ ჯამური ღირებ	385.0	525.8	856.5	921.5

6. GPS მოწყობილ წლიური ამორტიზ <sup>20</sup> (22.2%)	85.5	116.7	190.1	136.4
<b>7. ფინანსური შედეგი (1-2-3-6)</b>	<b>-18.7</b>	<b>30.2</b>	<b>7.8</b>	<b>-13.3</b>

როგორც ზემოაღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს GPS მომსახურებიდან დეპარტამენტი პრაქტიკულად მოგებას ვერ ღებულობს. ამის ერთერთი ძირითადი მიზეზია კლიენტების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ გამოყენებული მომსახურების დაბალი ტარიფები. მაგალითად ტარიფი თვეში 20 ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით, ანუ 16.95 ლარი დღგ-ს გარეშე ვერ ფარავს ერთი ავტომანქანის მომსახურების თვითღირებულებასაც კი<sup>21</sup>. მეორეს მხრივ კი გაუგებარია GPS მოწყობილობების შეძენის მოტივი (რაც მნიშვნელოვნად ზრდის მომსახურების თვითღირებულებას) იმ კომპანიისგან, რომელსაც შემდეგ ისევ უკან გადაეცემა აღნიშნული მოწყობილობა კლიენტების ავტომანქანებზე მონტაჟის მიზნით.

დეპარტამენტის მიერ 2015 წლის 2 მარტის ხელშეკრულების N01/381/22 და 2016 წლის 5 თებერვლის ხელშეკრულების N01/381/27 ფარგლებში შეძენილი იქნა ჯამურად 2000 ერთეული GPS მოწყობილობა (1000-1000 ერთეული). როგორც შპს „კასა ტრეიდის“ მიერ წარმოდგენილი იმპორტის დოკუმენტებიდან<sup>22</sup> გაირკვა ერთი ერთეული GPS მოწყობილობის თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 92 ევრო (ტრანსპორტირების ღირებულების ჩათვლით). გასაყიდმა ფასმა შეადგინა პირველ შემთხვევაში 322 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში 364 ლარი დღგ-ს გარეშე. ფასნამატმა თვითღირებულებაზე შეადგინა პირველ შემთხვევაში დაახლოებით 43%, ხოლო მეორე შემთხვევაში დაახლოებით 46%<sup>23</sup>.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე დეპარტამენტის მიერ კლიენტებისთვის არსებული სახით GPS მომსახურების გაწევის გაგრძელება მხოლოდ შპს „კასა ტრეიდისთვის“ არის მომგებიანი (რომელიც არც თუ ისე დაბალი ფასნამატით ახდენს GPS მოწყობილობების რეალიზაციას). მიზანშეწონილი იქნება დეპარტამენტმა შესაბამისი გათვლების საფუძველზე მიიღოს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილება (ან მათი ერთობლიობა):

- გაზარდოს მომსახურების მინიმალური ტარიფი.
- კლიენტებს გადაახდევინონ დამონტაჟებული GPS მოწყობილობის ღირებულება და გადასცენ საკუთრებაში შესაბამისი გარანტიით.
- უარი თქვან GPS მოწყობილობების შეძენაზე და იკისრონ მხოლოდ შუამავლის როლი (რასაც ფაქტობრივადაც აქვს ადგილი).
- დეპარტამენტი დაკომპლექტდეს შესაბამისი კადრებით, რათა დამოუკიდებლად შეძლოს აღნიშნული სახის ბიზნესის წარმოება.

<sup>20</sup> პასუხისმგებელი პირების განმარტებით აღნიშნული მოწყობილობების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 4-5 წელს (როგორც პრაქტიკამ აჩვენა).

<sup>21</sup> 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვიანგარიშებთ, თვეში ერთი ავტომანქანის მომსახურების თღ=3.1კავშირგ+7.9მომსახ+6.5ამორტიზ=17.5ლარი>16.95ლარი.

<sup>22</sup> საბაჟო დეკლარაციები C5795, 27.03.2015 და C4641, 09.03.2016 თანდართული ინვოისებით.

<sup>23</sup>  $(322-92*2.4472)/(92*2.4472)=43\%$ ,  $(364-92*2.699)/(92*2.699)=46\%$ . სადაც 2.4472 და 2.699 იმპორტის თარიღებისთვის არსებული ევროს გაცვლითი კურსებია ლართან მიმართებით.

## პოლოს მაისურების შესყიდვა

5000 ცალი მოკლემკლავიანი პოლოს მაისურის შესყიდვის მიზნით 2014 წლის 25 ივნისს დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140016042) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 95.0 ათასი ლარი (ერთეულის ფასი 19 ლარი). სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი არ იყო პრეტენდენტების მიერ აკრედიტებული საკვლევი ორგანოს (ლაბორატორიის) დასკვნის წარმოდგენა. პრეტენდენტებს უნდა წარმოედგინათ ნიმუშები, რომლებიც გაივლიდნენ შესაბამის შემოწმებას ფერის მედეგობაზე რეცხვის პირობებში სტანდარტული სარეცხი საშუალებების გამოყენებით. ამასთან შემსყიდველმა დაიტოვა უფლებამოსილება მიწოდებული საქონლის პარტიიდან ამოელო ნიმუშები და ჩაეტარებინა საექსპერტო კვლევა აკრედიტებულ საკვლევ ლაბორატორიაში მოთხოვნილ პარამეტრებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. გარდა ამისა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო ქსოვილის წონა  $190\text{გ/მ}^2 \pm 10\text{გ/მ}^2$ . ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „მინის სამყარო“ - 80.0 ათასი ლარი<sup>24</sup>, შპს „ჰასკო+“ - 80.0 ათასი ლარი, შპს „ბენწ“ - 89.0 ათასი ლარი და შპს „მოდელების სახლი მატერია“ - 89.9 ათასი ლარი. შპს „მინის სამყაროს“ დისკვალიფიკაციის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჰასკო+“, რომელთანაც 2014 წლის 14 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება Nე01/183/78 ღირებულებით 80.0 ათასი ლარი (ერთეულის ფასი 16 ლარი). საქონლის მიწოდების შესაბამისად აღნიშნული თანხა გადახდილი იქნა (დაქვითული იქნა საურავი 0.8 ათასი ლარის ოდენობით).

ანალოგიურად, 5000 ცალი მოკლემკლავიანი პოლოს მაისურის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 15 იანვარს დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150001339) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 115.0 ათასი ლარი (ერთეულის ფასი 23 ლარი). ამჯერად სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო პრეტენდენტების მიერ აკრედიტებული საკვლევი ორგანოს (ლაბორატორიის) დასკვნის წარმოდგენა. შემსყიდველმა დაიტოვა უფლებამოსილება ეჭვის გაჩენის შემთხვევაში მიწოდებული საქონლის პარტიიდან ამოელო ნიმუშები და ჩაეტარებინა დამატებითი საექსპერტო კვლევა აკრედიტებულ საკვლევ ლაბორატორიაში. გარდა ამისა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო ქსოვილის წონა  $185\text{გ/მ}^2 \pm 5\text{გ/მ}^2$ . ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „ვორლდ სერვისი“ - 89.2 ათასი ლარი, შპს „ჰასკო+“ - 100.0 ათასი ლარი, შპს „SANDIKO“ - 109.8 ათასი ლარი, შპს „ბენწ“ - 114.0 ათასი ლარი და შპს „მოდელების სახლი მატერია“ - 115.0 ათასი ლარი. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი (შპს „ვორლდ სერვისი“) დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მან ვერ წარმოადგინა აკრედიტებული საკვლევი ლაბორატორიის დასკვნა. ასევე წარმოდგენილი ნიმუშები ვიზუალურად დაწუნებული იქნა. მომდევნო დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტიც (შპს „ჰასკო+“) დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით მის მიერ წარმოდგენილი ნიმუშის ქსოვილის წონა შეადგენდა  $197.8\text{გ/მ}^2$  (ნაცვლად  $185\text{გ/მ}^2$ ). შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „SANDIKO“, რომელთანაც 2015 წლის 21 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N01/183/34 ღირებულებით 109.8 ათასი ლარი.

<sup>24</sup> ათი ლარით ნაკლები რიგით მეორე პრეტენდენტზე.

ზემოაღნიშნული ორი იდენტური შესყიდვის განხორციელებისას დეპარტამენტის მხრიდან დაფიქსირდა არაერთგვაროვანი მიდგომა. კერძოდ, პირველ ტენდერში (SPA140016042) მოთხოვნილი არ იყო პრეტენდენტების მიერ აკრედიტებული საკვლევი ორგანოს (ლაბორატორიის) დასკვნის წარმოდგენა. მიუხედავად ამისა დეპარტამენტს მიწოდებული პოლო მაისურების ხარისხთან დაკავშირებით ექსპლუატაციის პროცესში პრეტენზია არ გამოუთქვამს. სატენდერო დოკუმენტაციით აგრეთვე მოთხოვნილი იყო, რომ ქსოვილის წონა უნდა ყოფილიყო  $190\text{გ/მ}^2 \pm 10\text{გ/მ}^2$ . მეორე ტენდერში (SPA150001339) ზემოაღნიშნული დასკვნა მოთხოვნილი იყო. შეიცვალა ქსოვილის წონისადმი მოთხოვნაც ( $185\text{გ/მ}^2 \pm 5\text{გ/მ}^2$ ), თუმცა ვერ იქნა ახსნილი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა, ქსოვილის წონა 5 გრამით მეტი იქნებოდა თუ ნაკლები და რატომ გადაწყდა ამ პარამეტრის მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა (დასაშვები ცდომილება შემცირდა  $10\text{გ/მ}^2$ -დან  $5\text{გ/მ}^2$ -მდე).

მიზანშეწონილი იქნება დეპარტამენტის მიერ შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვროს ერთგვაროვანი მიდგომა. სატენდერო დოკუმენტაციით არ განისაზღვროს ისეთი მოთხოვნები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს და შესაძლოა გამოიწვიოს დაბალი სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია (მათ შორის ისეთების, რომელთაც კონკრეტული საქონელი არაერთხელ მიუწოდებიათ პრეტენზიის გარეშე). ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში შესყიდვის (SPA150001339) განხორციელებისას არსებობდა გარკვეული ფულადი სახსრების დაზოგვის შესაძლებლობა.

### **შპს „აია ტექსტილთან“ გაფორმებული ხელშეკრულება**

700 ცალი ტექტიკური ცეცხლსასროლი იარაღის ჩასადები ბუდის (კაბურა) შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა 2014 წლის 19 მაისს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA140012937) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 28.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „კავკასია პლიუსი“ - 17.0 ათასი ლარი, შპს „ა.ი.ს.ი.“ - 20.0 ათასი ლარი, შპს „ლემასი“ - 20.0 ათასი ლარი და შპს „აია ტექსტილი“ - 28.0 ათასი ლარი.

ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი (შპს „კავკასია პლიუსი“) დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი საქონლის ნიმუში არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. დისკვალიფიცირებული იქნა ასევე შპს „ა.ი.ს.ი.“ იმ მოტივით, რომ მან უარი განაცხადა ტენდერში შემდგომ მონაწილეობაზე (რადგან არ გააჩნდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი 100.0 ათასი ლარის საქონელბრუნვა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში). 2014 წლის 16 ივნისის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის (N6) მიხედვით დისკვალიფიცირებული იქნა ასევე მესამე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტიც - შპს „ლემასი“ იმ მოტივით, რომ „პრეტენდენტის აღნიშნულ სფეროში საქმიანობის გამოცდილება და კონტრაქტების მიხედვით მსგავსი ნაწარმის დამზადების ან მიწოდების პრაქტიკა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს. პრეტენდენტის წარმოდგენილი ცნობა, რომ იგი არის უცხოური კომპანიის EGBEN AMB. DIS TIC. PAZ. LTD. STI-ის დისტრიბუტორი საქართველოში, ვერ ჩაითვლება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესრულებად“.

ამასთან ერთად ოქმში აღნიშნულია, რომ შპს „ლემასის“ მიერ სისტემაში ატვირთული არ არის ცნობა გამოცდილების და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქონელბრუნვის შესახებ.

შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „აია ტექსტილი“, რომელთანაც 2014 წლის 4 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება N02/358/62 ღირებულებით 28.0 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების პროცესშიც დეპარტამენტის მიერ არ არის გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული<sup>25</sup> რაციონალური ხარჯვის ვალდებულება შემდეგი გარემოებების გამო:

- გაურკვეველია თუ რის საფუძველზე დაასკვნა სატენდერო კომისიამ, რომ შპს „ლემასის“ არ გააჩნდა აღნიშნულ სფეროში საქმიანობის გამოცდილება მაშინ, როცა პრეტენდენტს სისტემაში იმ მომენტისთვის ატვირთული არ ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტები, მაგრამ დეპარტამენტმა კანონმდებლობის შესაბამისად<sup>26</sup> არ მიმართა პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით (გამოცდილებასთან და საქონელბრუნვასთან დაკავშირებით).

- როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა შპს „ლემასის“ გააჩნდა სათანადო გამოცდილება. კერძოდ, ორი თვის შემდეგ დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ სხვა, ბევრად უფრო დიდი ღირებულების ტენდერში (SPA140019684) მან წარმოადგინა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები<sup>27</sup> და ტენდერშიც გაიმარჯვა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ორ ტენდერში პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები დეპარტამენტის სატენდერო კომისიას დაყენებული ჰქონდა არაადექვატურად. კერძოდ, 28.0 ათასი ლარის ღირებულების ტენდერში (SPA140012937) მოთხოვნილი იყო 100.0 ათასი ლარის საქონელბრუნვა ბოლო ორი წლის განმავლობაში, ხოლო 140.0 ათასი ლარის ღირებულების ტენდერში მოთხოვნილი იყო 100.0 ათასი ლარის საქონელბრუნვა ბოლო სამი წლის და ხუთი თვის განმავლობაში. გარდა ამისა დაახლოებით იგივე ღირებულების (29.9 ათასი ლარის) ტენდერში (SPA140016891) გამოცდილებასთან დაკავშირებით სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო 25.0 ათასი ლარის საქონელბრუნვა ყოველგვარი ვადების შეზღუდვის გარეშე (აქაც გაიმარჯვა შპს „ლემასმა“).

ასეთი არათანმიმდევრული და დაუსაბუთებელი მოთხოვნები წარმოშობს დაბალი სატენდერო წინადადების ფასების მქონე პრეტენდენტების უსაფუძვლო დისკვალიფიკაციის რისკს, რაც ხელს არ უწყობს ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინების შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა, რომ ტენდერში (SPA140012937) დაზოგილი ყოფილიყო გარკვეული ფულადი სახსრები.

<sup>25</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული.

<sup>26</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების მოთხოვნები.

<sup>27</sup> უშუალოდ კაბურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და ასეთი დოკუმენტები არც ტენდერში გამარჯვებულ შპს „აია ტექსტილს“ არ წარუდგენია.

## საკვალიფიკაციო და პრეტენდენტთა გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნებთან დაკავშირებული შენიშვნები

ელექტრონული ტენდერების გამოცხადების დროს დეპარტამენტის მიერ პრეტენდენტთა გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნებთან დაკავშირებით ცალკეულ შემთხვევებში წარმოებდა არაერთგვაროვანი, ზოგჯერ დაუსაბუთებელი მიდგომა. რაც კონკრეტულად გამოიხატებოდა პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი საქონელბრუნვის მაჩვენებლების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან შეუსაბამობაში. მაგალითად:

- 2015 წლის 9 ივნისს ფეხსაცმელების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150016360) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 654.5 ათასი ლარი პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი საქონელბრუნვის მაჩვენებელი დადგენილი იყო 500.0 ათასი ლარის ოდენობით (2012, 2013, 2014 და 2015 წლების განმავლობაში). ხოლო ციფრული რადიო კავშირგაბმულობის სისტემის მოწყობის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 18 მაისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150014263) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 715.0 ათასი ლარი პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი იყო მხოლოდ ინფორმაცია საქონელბრუნვის მინიმალური მაჩვენებლის გარეშე (დოკუმენტების წარმოდგენა მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში).

- 2015 წლის 15 იანვარს პოლოს მაისურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150001339) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 115.0 ათასი ლარი პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი საქონელბრუნვის მაჩვენებელი დადგენილი იყო 100.0 ათასი ლარის ოდენობით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. დაახლოებით იგივე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების (103.9 ათასი ლარი) მქონე 2015 წლის 18 მაისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150014254) პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი საქონელბრუნვის მაჩვენებელი დადგენილი იყო ორჯერ ნაკლები - 50.0 ათასი ლარის ოდენობით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში (ტენდერი გამოცხადებული იყო კეპებისა და თავსაბურავების შესყიდვის მიზნით).

- 2015 წლის 18 მაისს ზამთრის ქუდების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150014294) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 124.8 ათასი ლარი პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი საქონელბრუნვის მაჩვენებელი დადგენილი იყო 50.0 ათასი ლარის ოდენობით ბოლო ორი წლის განმავლობაში. ხოლო 2015 წლის 30 აპრილს ზამთრის ფეხსაცმლის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150012684) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 190.0 ათასი ლარი პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი საქონელბრუნვის მაჩვენებელი დადგენილი იყო 180.0 ათასი ლარის ოდენობით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. ასევე 2015 წლის 18 მაისს ნოუთბუქების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150014211) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 25.0 ათასი ლარი პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებით დოკუმენტების წარდგენა განისაზღვრა მხოლოდ მოთხოვნის შესაბამისად (რისი გამოყენებაც არ მომხდარა).

- სავლე ფორმის ტანსაცმლის შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა 2014 წლის 14 აპრილს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140009960) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 32.5 ათასი ლარი. ტენდერი არ შედგა იმის გამო, რომ მასში მონაწილეობა არავინ მიიღო. იმავე მიზნით 2014 წლის 7 მაისს დეპარტამენტმა განმეორებით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140012046) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 32.5 ათასი ლარი. გამოცდილების დასადასტურებლად სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო 300.0 ათასი ლარის საქონელბრუნვა ბოლო ორი წლის განმავლობაში. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „ლემასმა“, რომელიც დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მან ვერ წარმოადგინა ბოლო ორი წლის განმავლობაში 300.0 ათასი ლარის საქონელბრუნვის დამადასტურებელი დოკუმენტები. 2014 წლის 19 აგვისტოს დეპარტამენტის მიერ პულოვერების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში (SPA140019684, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 140.0 ათასი ლარი) გამოცდილების დასადასტურებლად მოთხოვნილი იყო საქონელბრუნვის მაჩვენებელი 100.0 ათასი ლარი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, რაც მიუთითებს გამოცდილებისადმი მოთხოვნის მიმართ არაერთგვაროვან დამოკიდებულებაზე. ტენდერში გაიმარჯვა იმ პრეტენდენტმა (შპს „ლემასი“), რომელიც გამოცდილების გამო დისკვალიფიცირებული იყო ბევრად უფრო დაბალი ღირებულების ზემოაღნიშნულ ტენდერში.

დეპარტამენტის მიერ ტენდერებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით წარმოებდა არამიზანშეწონილი მიდგომა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ყველა ელექტრონულ ტენდერში (მიუხედავად მონეტარული ზღვრისა) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნა. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით სატენდერო დოკუმენტაცია შესაძლებელია არ შეიცავდეს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში კი პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და უნდა იყოს დასაბუთებული სატენდერო დოკუმენტაციაში<sup>28</sup>. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტის მიერ ხშირ შემთხვევაში 200.0 ათას ლარამდე ღირებულების შესყიდვები წარმოებდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით ნაცვლად გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა (რაც შემსყიდველის კომპეტენციას წარმოადგენს), ხშირ შემთხვევაში შესაძლებელი იყო სატენდერო დოკუმენტაციით საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაყენებული არ ყოფილიყო (ან დაყენებული ყოფილიყო მოქნილი ფორმით<sup>29</sup>), რაც აღარ გახდებოდა დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის საფუძველი.

ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი შემდეგ ტენდერებში:

<sup>28</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით.

<sup>29</sup> მაგალითად, თუ პრეტენდენტს გააჩნია ბიუჯეტის წინაშე გარკვეული დავალიანება (მათ შორის შესაძლოა მიმდინარეც), მაგრამ გადახდისუნარიანია და ეს საფრთხეს არ უქმნის საწარმოს ფუნქციონირებადობას, ან საგადასახადო დავის პროცესშია, ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია მისი დისკვალიფიკაცია.



- 2014 წლის 22 ივლისს ავეჯის შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140017818) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 97.1 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „ჯეოსტილი“ - 94.9 ათასი ლარი, შპს „დანი“ - 97.1 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „ჯეოსტილის“ სატენდერო წინადადება სრულად აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, იგი დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მას ერიცხებოდა გარკვეული საგადასახადო დავალიანება, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა საგადასახადო დავა. შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „დანი“, რომელთანაც 2014 წლის 18 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N01/391/94 ღირებულებით 97.1 ათასი ლარი.

- 2015 წლის 8 მაისს ზამთრის საველე უნიფორმის შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150013562) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 142.5 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „ოლბერი“ - 132.2 ათასი ლარი, შპს „მოდელების სახლი მატერია“ - 139.5 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ შპს „ოლბერის“ სატენდერო წინადადება სრულად აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, იგი დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მან დადგინდა ვადაში ვერ წარმოადგინა საკვალიფიკაციო მონაცემები (ცნობები შემოსავლების სამსახურიდან და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან). შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მოდელების სახლი მატერია“, რომელთანაც 2015 წლის 21 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება Nგ01/182/73 ღირებულებით 139.5 ათასი ლარი.

### **შპს „SANDIKO“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება**

8700 ცალი დათბილული ქურთუკის, 130 ცალი უმკლავო კომბინირებული ქურთუკის და 130 ცალი გრძელმკლავიანი კომბინირებული ქურთუკის შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა 2014 წლის 4 ივნისს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140014326) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 620.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით გამოცდილების დასადასტურებლად მოთხოვნილი იყო არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება და 600.0 ათასი ლარის საქონელბრუნვის მაჩვენებელი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს-მ „SANDIKO“ - 530.0 ათასი ლარი, რომელიც დისკვალიფიცირებული იქნა იმის გამო, რომ ის დაფუძნებული იყო 2013 წელს და მას არ ექნებოდა სამწლიანი გამოცდილება. თუმცა საქონელბრუნვის მაჩვენებელი (600.0 ათას ლარზე მეტი) მას წარმოდგენილი ჰქონდა. სხვადასხვა მიზეზით დისკვალიფიცირებული იქნა დანარჩენი ორი პრეტენდენტიც და ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

2014 წლის 25 ივლისს დეპარტამენტმა იგივე რაოდენობისა და დასახელების საქონლის შესყიდვის მიზნით გამოაცხადა განმეორებითი ელექტრონული ტენდერი (SPA140018095) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 620.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით

გამოცდილების დასადასტურებლად მოთხოვნილი იყო 600.0 ათასი ლარის საქონელბრუნვის მაჩვენებელი ამჯერად ბოლო ოთხი კალენდარული წლის განმავლობაში. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა იგივე შპს-მ „SANDIKO“ - 555.0 ათასი ლარი, რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად და მასთან 2014 წლის 17 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება №01/182/93 ღირებულებით 555.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ შპს-მ „SANDIKO“ გამოცდილების დასადასტურებლად წარადგინა იგივე მონაცემები, რაც წინა ტენდერში (რომელშიც დისკვალიფიცირებული იქნა). ამჯერად გამოცდილების დამადასტურებელი იგივე მონაცემები მისაღები აღმოჩნდა და პრეტენდენტი გამოცხადდა გამარჯვებულად. ორ ერთიდაიგივე შესყიდვასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული სახის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების შედეგად დეპარტამენტის მიერ არაეკონომიურად გახარჯულია 25.0 ათასი ლარი<sup>30</sup> (555.0-530.0).

გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნისადმი არაერთგვაროვნება დაფიქსირდა აგრეთვე სამუშაო ტანსაცმლის შესყიდვის მიზნით იმავე პერიოდში (2014 წლის 9 ივლისს) გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერშიც (SPA140017004) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 715.0 ათასი ლარი, რომელშიც გამოცდილების დასადასტურებლად მოთხოვნილი იყო სულ მცირე ორწლიანი გამოცდილება და 100.0 ათასი ლარის საქონელბრუნვა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. აღნიშნულ ტენდერშიც გაიმარჯვა შპს-მ „SANDIKO“ სატენდერო წინადადების ღირებულებით 693.8 ათასი ლარი, რომელთანაც 2014 წლის 27 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება №01/182/86 ზემოაღნიშნული ღირებულებით. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ტენდერისგან (SPA140014326) განსხვავებით უგულებელყოფილი იქნა ის ფაქტი რომ შპს „SANDIKO“ დაფუძნებული იყო 2013 წელს და მას ორწლიანი გამოცდილება არ გააჩნდა.

## მიმწოდებლებისგან შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოთხოვა

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების პროცესში რისკების შეფასების საფუძველზე შერჩევით, კანონმდებლობის შესაბამისად<sup>31</sup> შემსყიდველი ორგანიზაციის საშუალებით სხვადასხვა მიმწოდებლებისგან მოთხოვნილი იქნა ცალკეულ შესყიდვებთან (სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებულ ხელშეკრულებებთან) დაკავშირებული დოკუმენტები (მიწოდებული საქონლის შემენის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები, ანგარიშ-ფაქტურები, ინვოისები, საბაჟო დეკლარაციები და ა.შ.). ზოგიერთი მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნის უგულებელყოფით დოკუმენტები წარმოდგენილი არ იქნა. კერძოდ: შპს „მასტერ სპორტი“, შპს „SANDIKO“, შპს „L 200“ და შპს „დაგი“. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

<sup>30</sup> აღნიშნული თანხა დაიზოგებოდა პირველ ტენდერში (SPA140014326) კომპანიის დაფუძნების თარიღთან დაკავშირებით ზედმეტი, არააუცილებელი მოთხოვნის არდაწესების და შედეგად პრეტენდენტისთვის გამარჯვების მინიჭების შემთხვევაში.

<sup>31</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე.

როგორც გაირკვა, ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის მიერ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე N010140616801 დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შპს „მასტერ სპორტის“ და შპს „SANDIKO“-ს წარმომადგენლების მიერ საბიუჯეტო სახსრების დიდი ოდენობით თაღლითური გზით დაუფლებისა და საინსპექციო ორგანიზაცია SGS-ის დასკვნების გაყალბების ფაქტზე. რის საფუძველზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 ივნისის N11ა/1739 განჩინებით სხვადასხვა ტენდერებთან და გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტები პროკურატურის მიერ ამოღებული იქნა.

### **ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა**

სსიპ დაცვის დაცვის პოლიციის დეპარტამენტს აუდიტის პერიოდში ბალანსზე ერიცხებოდა 600-ზე მეტი სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის ასამდე დაჯავშნული ავტომანქანა, რომლებიც გამოიყენებოდა საინკასაციო მომსახურების გასაწევად. შერჩევით შემოწმებული იქნა დაჯავშნული ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერები და მათ საფუძველზე გაწეული ხარჯების კანონიერება, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი:

**მერსედესის** მარკის 25 ერთეული დაჯავშნული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმდინარე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა 2013 წლის 13 დეკემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130027693) პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებით 474.3 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც პირველივე შეთავაზებაზე დააფიქსირეს სატენდერო წინადადების შემდეგი ფასები: შპს „ავტოსერვისცენტრი“ - 210.0 ათასი ლარი და შპს „ავტოტრანსსერვისი“ - 222.3 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვების საფუძველზე შპს „ავტოტრანსსერვისი“-თან 2014 წლის 29 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება N01/501/04 ღირებულებით 200.0 ათასი ლარი, პრეისკურანტის საერთო ღირებულებით 210.0 ათასი ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით. ის გარემოება, რომ პრეტენდენტების მიერ ტენდერში პირველივე შეთავაზებაზე დაფიქსირებული სატენდერო წინადადების ფასები ორჯერ და უფრო მეტჯერ ნაკლები იყო პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიუთითებს რომ სავარაუდო ღირებულება არ იყო განსაზღვრული ბაზრის კვლევაზე და წინა წლების გამოცდილებაზე დაფუძნებული. ამას ადასტურებს ასევე პრეისკურანტის კონკრეტული პოზიციების ურთიერთშედარება, კერძოდ 2007-2008-2010 წლებში გამოშვებული მერსედეს „სპრინტერებთან“ დაკავშირებით დაფიქსირდა შემდეგი:

- ზემოაღნიშნული ტენდერის (SPA130027693) სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართულ პრეისკურანტში „დიზელის მაღალი წნევის ტუმბო აპარატურის“ სავარაუდო ღირებულებად დაფიქსირებულია 4500 ლარი მაშინ, როცა გამარჯვებული პრეტენდენტის შეთავაზებული ფასი იყო 1783.63 ლარი (2.5-ჯერ ნაკლები).

- „წამყვანი ხიდის უკანა ნაწილის“ სატენდერო პრეისკურანტის სავარაუდო ფასი იყო 6500 ლარი მაშინ, როცა გამარჯვებული პრეტენდენტის შეთავაზებულმა ფასმა შეადგინა 1426.90 ლარი (4.5-ჯერ ნაკლები).

- „ძრავის გალოვკის“ სატენდერო პრეისკურანტის სავარაუდო ფასი იყო 4500 ლარი მაშინ, როცა გამარჯვებული პრეტენდენტის შეთავაზებულმა ფასმა შეადგინა 1070.15 ლარი (4.2-ჯერ ნაკლები).

- „ძრავის კომპლექტში“ სატენდერო პრეისკურანტის სავარაუდო ფასი იყო 20000 ლარი მაშინ, როცა გამარჯვებული პრეტენდენტის შეთავაზებულმა ფასმა შეადგინა 5350.88 ლარი (3.7-ჯერ ნაკლები).

- „ძრავი მეორადის“ სატენდერო პრეისკურანტის სავარაუდო ფასი იყო 10000 ლარი მაშინ, როცა გამარჯვებული პრეტენდენტის შეთავაზებულმა ფასმა შეადგინა 3210.53 ლარი (3.1-ჯერ ნაკლები).

სატენდერო დოკუმენტაციის პრეისკურანტსა და პრეტენდენტის მიერ შეთავაზებულ პრეისკურანტს შორის ანალოგიური სახის შეუსაბამობებს ადგილი ჰქონდა მასიურად.

გარდა ამისა, გაურკვეველი მოტივით დეპარტამენტში დამკვიდრებულია „ტრადიცია“ და წელიწადში ორჯერ ტარდება ტენდერები ერთიდაიგივე დაჯავშნული ავტომანქანების მომსახურებაზე. კერძოდ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების (N01/501/04) ღირებულება (200.0 ათასი ლარი) არ ეფუძნებოდა არანაირ გათვლებს და არც წინა წლების გამოცდილებას. ლოგიკურად სახელშეკრულებო ღირებულებების (ლიმიტების) გაანგარიშება უნდა კეთდებოდეს მთელ ფისკალურ წელზე გათვლით, მაგრამ ასე არ ხდებოდა. შედეგად სახელშეკრულებო ღირებულების ლიმიტების ამოწურვის შემდეგ დეპარტამენტი თავიდან აცხადებდა ტენდერებს იმავე ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით, რის გამოც გარდა იმისა, რომ იხარჯებოდა დამატებითი შრომითი რესურსი, პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისადმი ისევ არასწორი მიდგომის გამო არაეკონომიურ ხარჯვასაც ჰქონდა ადგილი. კერძოდ:

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით (N01/501/04) განსაზღვრული სახელშეკრულებო ღირებულების ლიმიტის ამოწურვის შემდეგ დეპარტამენტმა იგივე მიზნით (მერსედესის მარკის 24 ერთეული დაჯავშნული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა) 2014 წლის 25 ივლისს კვლავ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140018092) პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებით 265.5 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ავტოტრანსსერვისმა“, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 246.0 ათასი ლარი. 2014 წლის 5 სექტემბერს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება N01/501/90 ღირებულებით 150.0 ათასი ლარი, პრეისკურანტის საერთო ღირებულებით 246.0 ათასი ლარი. ახალი ხელშეკრულების პრეისკურანტის მიხედვით ზემოაღნიშნული ავტონაწილების ფასები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი წინა ხელშეკრულებასთან შედარებით. მაგალითად:

- „დიზელის მაღალი წნევის ტუმბო აპარატურის“ ფასი 1783.63 ლარიდან გაიზარდა 2350 ლარამდე (სატენდერო პრეისკურანტის ფასი იყო 2500 ლარი).

- „ძრავის გალოვკის“ ფასი 1070.15 ლარიდან გაიზარდა 3400 ლარამდე (სატენდერო პრეისკურანტის ფასი იყო 3500 ლარი).

- „ძრავის კომპლექტი“ ფასი 5350.88 ლარიდან გაიზარდა 14000 ლარამდე (სატენდერო პრეისკურანტის ფასი იყო 15000 ლარი).

- „ძრავი მეორადის“ ფასი 3210.53 ლარიდან გაიზარდა 7500 ლარამდე (სატენდერო პრეისკურანტის ფასი იყო 8000 ლარი).

მაგალითად, მეორე ტენდერის საფუძველზე გაფორმებული N01/501/90 ხელშეკრულებით დაჯავშნულ მერსედეს „სპრინტერს“ სახელმწიფო ნომრით SP611SP გამოუცვალეს არსებული ძრავი მეორადით (ღირებულებით 4900 ლარი, ხელობა 250 ლარი, ინვოისი N92, 10.12.14წ.) პირველი ტენდერის საფუძველზე გაფორმებული N01/501/04 ხელშეკრულებით მეორადი ძრავის ღირებულება შეადგენდა 3210,53 ლარს, ხოლო ხელობა 214 ლარს. საერთო ჯამში გადახდილია 1726 ლარით მეტი, ვიდრე N01/501/04 ხელშეკრულების ფასებით იქნებოდა გადახდილი.

გამოვლინდა ასევე ფაქტები, როდესაც ფაქტობრივად გადახდილი თანხები არ შეესაბამება ხელშეკრულების პრეისკურანტით განსაზღვრულ ფასებს. მაგალითად:

- შპს „ავტოტრანსსერვისთან“ გაფორმებული ზემოაღნიშნული N01/501/90 ხელშეკრულების პრეისკურანტის მიხედვით, ფარსუნკის (ერთი ერთეული) ღირებულება შეადგენდა 1200 ლარს, მიუხედავად ამისა დეპარტამენტის მიერ (ინვოისი N273, 15.09.14წ.) ავტომანქანის „მერსედესი“ (დაჯავშნული) სახელმწიფო ნომრით AUA689, ფარსუნკის კომპლექტის (4 ერთეული) გამოცვლაში გადახდილია 6080 ლარი (ხელობის ღირებულების გარეშე), ასევე ავტომანქანის „მერსედესი“ (დაჯავშნული) სახელმწიფო ნომრით AUA617 (ინვოისი N282 01.10.14წ.) ძრავის შეკეთებაში გადახდილი სულ 7406.25 ლარიდან ფარსუნკის კომპლექტში (4 ერთეული) გადახდილია 6080 ლარი. ორივე შემთხვევაში ზედმეტად გადახდილმა თანხამ ჯამურად შეადგინა 2560 ლარი<sup>32</sup>.

- 2015 წლის 7 ივლისის N01/501/64 ხელშეკრულების ფარგლებში იმავე წლის 8 ნოემბრის N233 ინვოისის საფუძველზე შპს „ავტოტრანსსერვისის“ ანგარიშზე გადარიცხულია მერსედესის მარკის (SP647SP) დაჯავშნული ავტომანქანის შეკეთების ღირებულება 2912.05 ლარი, მათ შორის „მახავიკის“ ღირებულება 1937.33 ლარი, თუმცა ხელშეკრულების პრეისკურანტით ანაზღაურებას ექვემდებარებოდა 1245.42 ლარი, ანუ 691.91 ლარით მეტი. ანალოგიურად, მერსედესის მარკის (SP689SP) დაჯავშნული ავტომანქანის „მახავიკის“ გამოცვლაში ანაზღაურებულია 1937.33 ლარი ნაცვლად 1245.42 ლარისა (ინვოისი N210 08.11.15წ.). სულ ორივე შემთხვევაში ზედმეტად გადახდილია 1383.82 ლარი.

გამოვლინდა ასევე შემთხვევები, როცა ტენდერში გამარჯვების საფუძველზე გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებებით გაზრდილია პრეისკურანტის არსებული პოზიციების ფასები, რაც შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით ნებადართული არ არის (ხელშეკრულების დადების შემდეგ პრეისკურანტში ცვლილების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მასში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას<sup>33</sup>). მაგალითად, შპს „ავტოტრანსსერვისთან“ 2014 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული N01/501/90 ხელშეკრულების პრეისკურანტის მიხედვით „უკანა წამყვანი ხიდის“ ფასი იყო 1450 ლარი, ხელობა - 100

<sup>32</sup> (6080-1200\*4)\*2

<sup>33</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით.

ლარი. 2014 წლის 14 ნოემბერს ხელშეკრულებაში შესული N1 ცვლილების საფუძველზე „უკანა წამყვანი ხიდის“ ფასი გაიზარდა 1050 ლარით და შეადგინა 2500 ლარი, ხელობის ფასი კი გაიზარდა 200 ლარამდე. ზემოაღნიშნული გაზრდილი ფასებით გარემონტდა მერსედესის დაჯავშნული ავტომანქანები სახელმწიფო ნომრებით SP614SP და SP615SP (ინვოისები N79, 02.12.14წ. და N49, 06.11.14წ.). სულ ორივე ავტომანქანაზე ზედმეტად გადახდილია 2400 ლარი.

„ავტოტრანსსერვისთან“ 2014 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული N01/501/90 ხელშეკრულების ფარგლებში გარემონტდა დაჯავშნული ავტომანქანა მერსედესი (AUA659). კერძოდ, დაყენებული იქნა „ძრავის ბლოკი მეორადი“ ღირებულებით 3050 ლარი ისე, რომ ხელშეკრულების პრეისკურანტში ასეთი ავტონაწილი მითითებული არ იყო და არც ცვლილება იყო შეტანილი (ინვოისი N31, 28.10.2014წ.). ანალოგიურად, იმავე ხელშეკრულების ფარგლებში გარემონტდა დაჯავშნული ავტომანქანა მერსედესი (SP615SP), რომელსაც დაუყენდა „ტურბო მეორადი“ ღირებულებით 2400 ლარი (მაშინ როდესაც ხელშეკრულების მიხედვით ახალი ტურბო ღირდა 3200 ლარი).

გამოვლინდა ასევე შემთხვევები, როდესაც დეპარტამენტი არ სარგებლობდა ტექნიკურ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული საგარანტიო პირობებით და საგარანტიო პერიოდში განმეორებით არის გადახდილი თანხები უფასოდ კუთვნილ მომსახურებაზე. მაგალითად: შპს „ავტოტრანსსერვისთან“-თან 2015 წლის 14 იანვარს გაფორმებული N01/501/05 ხელშეკრულების მიხედვით გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე ვრცელდებოდა საგარანტიო ვადები. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა დაჯავშნული მერსედესის მარკის ავტომანქანებისთვის (SP606SP, SP695SP და SP657SP) „მახავიკის“ გამოცვლა (ინვოისები N8, 15.01.2015; N149, 06.04.2015 და N77, 21.02.2015). საგარანტიო ვადის გასვლამდე ამ ავტომანქანებისთვის ხელმეორედ იქნა გამოცვლილი „მახავიკი“, რისთვისაც გადახდილი იქნა ჯამურად 3736 ლარი (ინვოისები N162, 04.10.2015; N171, 08.10.2015 და N90, 22.08.2015). ანალოგიურად, 2014 წლის 5 სექტემბრის N01/501/90 ხელშეკრულების ფარგლებში ავტომანქანისთვის (SP602SP) გამოცვლილი იქნა „გადაბმულობის ქურო“ და „გადაბმულობის დისკი“ (ინვოისი N83, 02.12.2014). აღნიშნული ნაწილები საგარანტიო ვადის გასვლამდე<sup>34</sup> ხელმეორედ იქნა გამოცვლილი, რისთვისაც გადახდილი იქნა 732 ლარი (ინვოისი N213, 12.05.2015). მერსედესის მარკის დაჯავშნული ავტომანქანების შეკეთებაზე სულ ანალოგიური სახით ზედმეტად გადახდილი იქნა 9.7 ათასი ლარი.

გარდა ამისა აუდიტის ჯგუფის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე გადამოწმებული იქნა დეპარტამენტისთვის მიწოდებული ცალკეული ავტონაწილების შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტები. შპს „ავტოტრანსსერვისის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა, რომ ეს კომპანია არ აწარმოებდა დეპარტამენტზე მიწოდებული ავტონაწილების იმპორტს. ის ადგილობრივ ბაზარზე შეძენილ ავტონაწილებს სპეკულაციურ ფასებად აძლევდა დეპარტამენტს, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, რომ სატენდერო პრეისკურანტების სავარაუდო ღირებულებები (რომელთა ზღვრულ ფარგლებშიც წარდგენილი იყო სატენდერო წინადადებები) არასწორად იყო განსაზღვრული. მაგალითად:

<sup>34</sup> ხელშეკრულებებზე თანდართული პრეისკურანტების მიხედვით „მახავიკი“ ითვლება ძრავის შემადგენელ კომპონენტად, ხოლო „გადაბმულობის ქურო“ და „გადაბმულობის დისკი“ - გადაცემათა კოლოფის შემადგენელ კომპონენტებად.

- 2015 წლის 14 იანვრის N01/501/05 ხელშეკრულების ფარგლებში ავტომანქანა მერსედესისთვის (ბრონირებული) შეცვლილი იქნა „ფარსუნკა“ (ინვოისი N136, 28.03.2015), რომელშიც დეპარტამენტმა გადაიხადა 780.9 ლარი. აღნიშნული „ფარსუნკა“ შპს „ავტოტრანსსერვისის“ მიერ შეძენილი იყო ი/მ „ნოდარ გიგოლაშვილისგან“ 250 ლარად (სასაქონლო ზედნადები ელ-0165586796).

- 2014 წლის 24 იანვრის N01/501/03 ხელშეკრულების ფარგლებში ავტომანქანა ფორდისთვის (დაჯავშნული) შეცვლილი იქნა „საწვავის მაღალი წნევის ტუმბო“ (ინვოისი N117, 04.06.2014), რომელშიც დეპარტამენტმა გადაიხადა 2500 ლარი. აღნიშნული „ტუმბო“ შპს „ავტოტრანსსერვისის“ მიერ შეძენილი იყო შპს „ამირანისგან“ 500 ლარად (ა/ფ ეა-06 8035091).

- 2014 წლის 24 იანვრის N01/501/03 ხელშეკრულების ფარგლებში ავტომანქანა ფორდისთვის (დაჯავშნული) შეცვლილი იქნა „ძრავის ტურბო“ (ინვოისი N123, 13.06.2014), რომელშიც დეპარტამენტმა გადაიხადა 2500 ლარი. აღნიშნული „ტურბო“ შპს „ავტოტრანსსერვისის“ მიერ შეძენილი იყო შპს „კმ-სერვისისგან“ 815 ლარად (ა/ფ ეა-06 8198819).

- 2015 წლის 14 სექტემბრის N01/501/89 ხელშეკრულების ფარგლებში ავტომანქანა ფორდისთვის (დაჯავშნული) შეცვლილი იქნა „საჭის მექანიზმი“ (ინვოისი N45, 25.11.2015), რომელშიც დეპარტამენტმა გადაიხადა 1500 ლარი, ასევე „მახავიკი“ (ინვოისი N41, 03.11.2015), რომელშიც გადახდილია 1400 ლარი და „გადაბმულობის ქურო“ (ინვოისი N31, 20.10.2015) - გადახდილია 414 ლარი. აღნიშნული „საჭის მექანიზმი“ შპს „ავტოტრანსსერვისის“ შეძენილი ჰქონდა შპს „კ-მოტორისგან“ 850 ლარად (ა/ფ ეა-04 6672950), ხოლო „მახავიკი“ და „გადაბმულობის ქურო“ - შპს „კმ-სერვისისგან“ შესაბამისად 590 და 180 ლარად (ა/ფ-ები ეა-04 6260176 და ეა-04 6260176).

- 2015 წლის 3 აპრილის N144 ინვოისის მიხედვით (რომელშიც საფუძვლად მითითებულია 2015 წლის 14 იანვრის N01/501/05 ხელშეკრულება) ავტომანქანა მერსედესისთვის (დაჯავშნული) შეცვლილი იქნა „ბრონირებული წინა საქარე მინა“, რომელშიც დეპარტამენტმა გადაიხადა 9499 ლარი. აღნიშნული „მინა“ შპს „ავტოტრანსსერვისმა“ შეიძინა შპს „აიემ კავკასიასგან“ 8260 ლარად (ა/ფ ეა-04 2844295). ავტომანქანების დაჯავშნას (მათ შორის საქარე მინის) დეპარტამენტი სისტემატურად ახორციელებდა „აიემ კავკასიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. შესაბამისად გაურკვეველია, თუ რატომ შეასრულა ეს მომსახურება შპს „ავტოტრანსსერვისმა“, მითუმეტეს მაშინ როდესაც 2015 წლის 14 იანვრის N01/501/05 ხელშეკრულების პრეისკურანტი ასეთი სახის მომსახურებას არ ითვალისწინებდა (სავარაუდოდ პრეისკურანტში ცვლილება არ განხორციელდა იმის გამო, რომ გადააჭარბებდა კანონმდებლობით დაშვებულ 10%-იან ზღვარს). შედეგად არაეკონომიურად გახარჯული იქნა 1239 ლარი.

შპს „ავტოსერვისცენტრი“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით კი გაირკვა, რომ არც ეს კომპანია აწარმოებდა ავტონაწილების იმპორტს და ადგილობრივ ბაზარზე შეძენილ ავტონაწილებს არაადექვატურ ფასებად აძლევდა დეპარტამენტს. მაგალითად, 2014 წლის 15 სექტემბრის N273 ინვოისის მიხედვით მერსედესის მარკის დაჯავშნულ ავტომანქანას (AUA689) ზემოაღნიშნული კომპანიის სერვის ცენტრში გამოუცვალეს „ფარსუნკა“ კომპლექტში (4 ცალი), რაშიც დეპარტამენტმა გადაიხადა 6080 ლარი. როგორც წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით (ეა-06 9902689) გაირკვა „ფარსუნკის“ აღნიშნული კომპლექტი შპს „ავტოსერვისცენტრი“-ის მიერ შეძენილი იყო შპს „ორიგინალი ავტო“-სგან 2480 ლარად, რის შემდეგაც 3600 ლარიანი (145%-იანი) ფასნამატით მიჰყიდა დეპარტამენტს.

ანალოგიური ფასით (6080 ლარი) განხორციელდა ასევე ავტომანქანისთვის (AUA617) იგივე „ფარსუნკის“ კომპლექტის გამოცვლა (ინვოისი N282, 01.10.2014წ.). ასევე, „ფარსუნკის“ კომპლექტი იმავე ფასად იქნა გამოცვლილი კიდევ სამ შემთხვევაში (ინვოისები N117, 10.05.2014წ. N133, 24.05.2014 და N231, 07.08.2014წ.). ზემოაღნიშნული მომსახურებები გაწეულია 2014 წლის 29 იანვარს გაფორმებული N01/501/04 ხელშეკრულების პრეისკურანტის საფუძველზე, რომელშიც 2014 წლის 29 აპრილის N9 შეთანხმებით შესული ცვლილების შედეგად ავტონაწილების ჩამონათვალს დაემატა „ფარსუნკა“ და მისი ფასი განისაზღვრა ცალი (თუმცა დაკონკრეტებული არ არის) 1520 ლარით, შესაბამისად კომპლექტი 6080 ლარი. ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ ფასი განისაზღვრა არა ბაზრის კვლევის შედეგად, არამედ შპს „ავტოსერვისცენტრი“-ის მიერ გაკეთებული შეთავაზების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული სხვადასხვა სახის დარღვევების ანალოგებს ჰქონდა ადგილი სხვა მარკის დაჯავშნილი ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების გაწევის დროსაც:

**ფოლკსვაგენის** მარკის 30 ერთეული დაჯავშნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმდინარე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით დეპარტამენტმა 2013 წლის 20 დეკემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130028535) პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებით 704.7 ათასი ლარი. ტენდერში გაიმარჯვა შპს „L200“-მა სატენდერო წინადადების ღირებულებით 484.5 ათასი ლარი (სავარაუდო ღირებულებაზე 220.2 ათასი ლარით ნაკლები), რომელთანაც 2014 წლის 4 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N01/501/07. სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინებული არ იყო წინა წლის გამოცდილება (წინა წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფასები). მაგალითად: ფოლკსვაგენის მარკის ავტომანქანების რემონტის მიზნით 2013 წლის 18 ოქტომბერს შპს „იბერია ავტოჰაუზთან“ გაფორმებული N01/501/63 ხელშეკრულების პრეისკურანტის მიხედვით „ძრავის კომპლექტში“ ღირებულება იყო 18500 ლარი, ხოლო შემდგომ გამოცხადებული ტენდერის (SPA130028535) სატენდერო პრეისკურანტის მიხედვით კი 35500 ლარი. ანალოგიურად:

- „ძრავის გალოვკა“ - 4700 ლარი, სატენდერო პრეისკურანტის მიხედვით -15500 ლარი.
- „მუხლა ლილვი“ - 200 ლარი, სატენდერო პრეისკურანტის მიხედვით - 4700 ლარი.
- „ყუმბარა კომპლექტში“ - 700 ლარი, სატენდერო პრეისკურანტის მიხედვით -1500 ლარი.
- „დიზელის მაღალი წნევის ტურბო“ – 1300 ლარი, სატენდერო პრეისკურანტის მიხედვით - 3350 ლარი.

აღნიშნული მაგალითები და ტენდერში ვაჭრობის შედეგად პრეისკურანტის ფასის მნიშვნელოვანი კლება მიუთითებს, რომ სატენდერო პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება გაზრდილად იყო წარმოდგენილი.

მესედესის მარკის ავტომანქანების ანალოგიურად ფოლკსვაგენებთან დაკავშირებითაც გამოვლინდა შემთხვევები საგარანტიო პერიოდში უფასოდ კუთვნილ მომსახურებაზე თანხების გადახდასთან დაკავშირებით. მაგალითად:

- 2015 წლის 25 ივნისს გაფორმებული N01/501/56 ხელშეკრულების ფარგლებში და 10 ივლისის სამუშაოს შესრულების აქტის თანახმად დაჯავშნილ ფოლკსვაგენს (SP697SP) შეეცვალა საჭის გამაძლიერებელი ტუმბო (ინვოისი N27 09.07.2015წ.). წარმოდგენილი დათვალიერების აქტის (19.10.2015წ.) საფუძველზე აღნიშნულ ავტომანქანას საგარანტიო



პერიოდის გასვლამდე - 2015 წლის 2 ნოემბერს ხელმეორედ შეუცვალეს საჭის გამაძლიერებელი ტუმბო ღირებულებით -1150 ლარი, ხელობა 103.50 ლარი, სულ 1253.00 ლარი (ინვოისი N94 09.11.15წ.).

- 2014 წლის 4 თებერვლის 01/501/03 ხელშეკრულების ფარგლებში 12 აპრილის სამუშაოს შესრულების აქტის მიხედვით ფოლკსვაგენზე (AUA634) შეკეთდა კონდიციონერის სისტემა სრულად, გამოიცვალა კონდიციონერის რადიატორი და კომპრესორი, ჰაერის ფილტრი, გაიწმინდა კონდიციონერის სისტემა და დაიტუმბა ფრეონით (ინვოისი N86, 14.04.2014წ.). მიუხედავად ამისა იმავე წლის 18 ივნისის დათვალაობისა და 21 ივნისის სამუშაოს შესრულების აქტების მიხედვით განმეორებით განხორციელდა კონდიციონერის სისტემის გაწმენდა (ინვოისი N157,25.06.2014წ.), რაშიც გადახდილია 250 ლარი, რომელიც საგარანტიო პირობებიდან გამომდინარე არ უნდა ანაზღაურებულიყო. უფრო მეტიც, პირველ შემთხვევაში წარმოდგენილ ინვოისში ორჯერაა ჩაწერილი და ანაზღაურებული კონდიციონერის სისტემის გაწმენდაზე გაწეული ხარჯი - 250 ლარი. სულ ზედმეტად გაწეული ხარჯი შეადგენს 500 ლარს.

ფოლკსვაგენის მარკის დაჯავშნული ავტომანქანების შეკეთებაზე სულ ანალოგიური სახით ზედმეტად გადახდილი იქნა 9.7 ათასი ლარი, ხოლო ფორდ-ტრანზიტის მარკის დაჯავშნულ ავტომანქანებზე - 15.6 ათასი ლარი<sup>35</sup>.

2015 წლის 25 ივნისის N01/501/56 ხელშეკრულების ფარგლებში 27 ივნისის N11 ინვოისის საფუძველზე დეპარტამენტის მიერ შპს „L200“-სთვის გადახდილია 2990 ლარი ფოლკსვაგენის მარკის (SP645SP) ავტომანქანის შეკეთებაზე. აღნიშნულ ინვოისზე თანდართული სამუშაოს მიღების აქტის მიხედვით ინვოისში დაფიქსირებული სათადარიგო ნაწილების გამოცვლა განხორციელდა იმავე წლის 22 ივნისს, ანუ N01/501/56 ხელშეკრულების გაფორმებამდე და ძალაში შესვლამდე სამი დღით ადრე. აქედან გამომდინარე ზემოთ მითითებულ ავტომანქანაზე ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელებულიყო 2015 წლის 13 იანვრის N01/501/03 ხელშეკრულების პრეისკურანტის შესაბამისად. ზედმეტად გადახდილია 920 ლარი.

### **ავტომანქანების შეძენისას საგარანტიო პერიოდში გაწეული ტექნიკური მომსახურებები**

ახალი ავტომანქანების შეძენისას საგარანტიო პერიოდში გაწეული ტექნიკური მომსახურებების შერჩევითი შემოწმებით გაირკვა შემდეგი:

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახალი დაჯავშნული ავტომანქანების (თურქული წარმოების ფორდ-ტრანზიტები) შეძენას ძირითადად აწარმოებდა შპს „აიემ კავკასიისგან“ ავტომანქანების ჩანაცვლების გზით. შპს „აიემ კავკასია“ თავის მხრივ ავტომანქანების (დაუჯავშნელის) შეძენას ახდენდა შპს „ჯი თი მოტორსისგან“ და შემდგომ უტარებდა

<sup>35</sup> დეტალური მონაცემები იხილე დანართში (ცხრილში) ელექტრონული სახით.

დაჯავშნის სამუშაოებს. დეპარტამენტსა და შპს „აიემ კავკასიას“ შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ყველა ხელშეკრულებას<sup>36</sup> დანართი N2-ის სახით ახლავს საგარანტიო პირობები, რომლის მიხედვით დეპარტამენტი იღებდა ვალდებულებას, რომ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ავტომობილს ნებისმიერი სახის ტექნიკურ მომსახურებას ჩაუტარებდა და ნებისმიერ სათადარიგო ნაწილს, გარდა საბურავისა შეიძენდა მხოლოდ შპს „ჯი თი მოტორსის“ სერვის ცენტრებში (იგულისხმება არასაგარანტიო მომსახურებები). აღნიშნული მიზნით დეპარტამენტი დამატებით ხელშეკრულებებს (თანდართული პრეისკურანტით) აფორმებდა შპს „ჯი თი მოტორსთან“<sup>37</sup>. შპს „ჯი თი მოტორსი“ სარგებლობდა რა არსებულ სიტუაციაში მონოპოლიური მდგომარეობით, დეპარტამენტს მომსახურებას უწევდა არაადექვატურად მაღალი ფასებით. მაგალითად:

- 2015 წლის 28 მაისის N03/501/95 ხელშეკრულების ფარგლებში<sup>38</sup> ავტომანქანა ფორდ-ტრანზიტისთვის (SP612SP) გამოცვლილი იქნა წინა სამუხრუჭე ხუნდები (ინვოისი N340136, 01.10.2015). ხუნდებში (ხელობის გარეშე) დეპარტამენტის მიერ გადახდილი იქნა 647.45 ლარი დღგ-ს ჩათვლით (548.69 ლარი დღგ-ს გარეშე). ამავე ხელშეკრულების ფარგლებში იმავე ავტომანქანისთვის (SP612SP) გამოცვლილი იქნა უკანა სამუხრუჭე ხუნდები (ინვოისი N340377, 09.10.2015). ხუნდებში (ხელობის გარეშე) დეპარტამენტის მიერ გადახდილი იქნა 492.43 ლარი დღგ-ს ჩათვლით (417.31 ლარი დღგ-ს გარეშე). ასევე იმავე ავტომანქანისთვის რამდენიმე თვით ადრე გამოცვლილი იქნა წინა და უკანა ხუნდები, რაშიც გადახდილი იქნა ანალოგიური თანხები - შესაბამისად 647.45 ლარი და 492.43 ლარი დღგ-ს ჩათვლით (ინვოისი N338279, 27.07.2015).

- 2015 წლის 31 ივლისის N03/501/130 ხელშეკრულების ფარგლებში ავტომანქანა ფორდ-ტრანზიტისთვის (SP698SP) გამოცვლილი იქნა წინა სამუხრუჭე ხუნდები (ინვოისი N340625, 20.10.2015). ხუნდებში (ხელობის გარეშე) დეპარტამენტის მიერ გადახდილი იქნა 467.10 ლარი დღგ-ს ჩათვლით (395.84 ლარი დღგ-ს გარეშე). ამავე ხელშეკრულების ფარგლებში ავტომანქანა ფორდ-ტრანზიტისთვის (SP670SP) გამოცვლილი იქნა წინა სამუხრუჭე ხუნდები (ინვოისი N338268, 31.07.2015). ხუნდებში (ხელობის გარეშე) დეპარტამენტის მიერ გადახდილი იქნა 315.2 ლარი დღგ-ს ჩათვლით (267.12 ლარი დღგ-ს გარეშე). ასევე ავტომანქანა ფორდ-ტრანზიტისთვის (SP676SP) გამოცვლილი იქნა წინა სამუხრუჭე ხუნდები (ინვოისი N339214, 31.08.2015), რაშიც გადახდილი იქნა 251.01 ლარი დღგ-ს ჩათვლით. ხოლო ავტომანქანა ფორდ-ტრანზიტისთვის (SP679SP) გამოცვლილი იქნა უკანა სამუხრუჭე ხუნდები (ინვოისი N338494, 04.08.2015), რაშიც გადახდილი იქნა 257.76 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

**შედარებისთვის:** დეპარტამენტი სხვა შემთხვევებში (არასაგარანტიო პერიოდში) სამუხრუჭე ხუნდების გამოცვლის მიზნით ხუნდების შექმნას (მათ შორის დაჯავშნული ავტომანქანებისთვის) აწარმოებდა დამოუკიდებლად (შემდგომი მონტაჟის მიზნით) ელექტრონული ტენდერების საშუალებით. მაგალითად: 2014 წლის 13 თებერვალს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA140004467) გამარჯვების საფუძველზე შპს „გმ აუტოსთან“ 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული №01/343/29 ხელშეკრულების ფარგლებში

<sup>36</sup> მაგალითად: 2014 წლის 25 ნოემბრის N03/341/166, 2015 წლის 4 მაისის N03/341/81, 2015 წლის 25 აგვისტოს N03/341/141, 2015 წლის 17 ივლისის N03/341/123, 2015 წლის 25 სექტემბრის N03/341/158 ხელშეკრულებები.

<sup>37</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (მაგალითად: ხელშეკრულებები N03/501/95, 28.05.2015 და N03/501/130, 31.07.2015).

<sup>38</sup> ამ და ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში ინვოისებში ზოგჯერ არასწორად არის მითითებული N03/501/20.

შეძენილი იქნა სამუხრუჭე ხუნდები (როგორც წინა ასევე უკანა), მათ შორის დაჯავშნული ფორდ-ტრანზიტისთვის სხვადასხვა ღირებულების, კომპლექტი 32 ლარიდან მაქსიმუმ 50 ლარამდე დღგ-ს ჩათვლით (იტალიური წარმოების). ასევე, 2015 წლის 31 მარტს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150007583) გამარჯვების საფუძველზე ი/მ „თემურ სუხიაშვილთან“ 2015 წლის 21 აპრილს გაფორმებული №01/343/33 ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი იქნა სამუხრუჭე ხუნდები (როგორც წინა ასევე უკანა), მათ შორის დაჯავშნული ფორდ-ტრანზიტისთვის სხვადასხვა ღირებულების, კომპლექტი 36 ლარიდან მაქსიმუმ 47 ლარამდე დღგ-ს ჩათვლით (თურქული წარმოების). ტენდერების საშუალებით შეძენილი სამუხრუჭე ხუნდების ფასები 5-10-ჯერ ნაკლებია შპს „ჯი თი მოტორსის“ შეთავაზებულ ფასებზე.

გარდა ამისა, როგორც შპს „ჯი თი მოტორსის“ მიერ წარმოდგენილი შესყიდვის (იმპორტის) დამადასტურებელი დოკუმენტებით<sup>39</sup> გაირკვა, დეპარტამენტისთვის მიყიდული ზემოაღნიშნული ხუნდების ერთეულის (კომპლექტის) თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 39.62 ევრო, 39.0 ევრო და 47.0 ევრო დღგ-ს გარეშე (თითოეული საბაჟო დეკლარაციის შესაბამისად). რაც იმ დროისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად შეადგენდა 94 ლარს, 92.6 ლარს და 121.75 ლარს დღგ-ს გარეშე. თუ აღნიშნულ მონაცემებს შევადარებთ გასაყიდ ფასებს (548.69 ლარი, 417.31 ლარი, 395.84 ლარი, 267.12 ლარი და ა.შ.), ფასნამატი თვითღირებულებაზე არაგონივრულად მაღალია.

სულ 2015 წლის განმავლობაში შპს „ჯი თი მოტორსის“ ზემოაღნიშნული არაადექვატური ფასებით დეპარტამენტისთვის მიყიდული აქვს 195 კომპლექტი სამუხრუჭე ხუნდი (წინა და უკანა) ღირებულებით 60.1 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით (50.9 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე).

დეპარტამენტის მხრიდან საგარანტიო პერიოდში ზემოაღნიშნული სახის ვალდებულების აღება („ჯი თი მოტორსის“ სერვის ცენტრებში ნებისმიერი სახის მომსახურებასთან დაკავშირებით) მიზანშეუწონელია შემდეგი გარემოების გამო: გარანტიის გამცემი ლოგიკურად უფლებამოსილია მოითხოვოს ისეთი სახის მომსახურების თავის თავზე აღება, რომელიც დაკავშირებულია საგარანტიო ნაწილების (ძრავა, გადაცემათა კოლოფი, უკანა ხიდი და ა.შ.) უსაფრთხოებასთან. შესაბამისად გაუგებარია, თუ რა კავშირშია გარანტიასთან ისეთი მომსახურების გაწევა, როგორცაა მაგალითად სამუხრუჭე ხუნდების გამოცვლა. მიზანშეუწონელი იქნება დეპარტამენტმა საგარანტიო პერიოდში ტექნიკური მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმებისას გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული, ასევე გათვალისწინებული იქნას ავტონაწილების რეალური საბაზრო ღირებულებები<sup>40</sup>.

## შრომის ანაზღაურება

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამტატო რიცხოვნობა აღემატება 11000 ერთეულს. დეპარტამენტის შრომის ანაზღაურების დაფინანსების ძირითადი წყაროა ეკონომიკური

<sup>39</sup> საბაჟო დეკლარაციები C2752, 26.01.2015წ. - 150 ერთეული; C4170, 03.02.2015წ. - 248 ერთეული და C14919, 02.04.2015წ. - 252 ერთეული.

<sup>40</sup> აღნიშნულის კონტროლის ერთ-ერთ საშუალებად (არა მხოლოდ ავტონაწილების შესყიდვის შემთხვევაში) შესაძლებელია გამოყენებული იქნას შესყიდვის მონაწილისგან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნა.

საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. სამტატო რიცხოვნობის გარკვეული ნაწილის შრომის ანაზღაურება (ეროვნული საგანმურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველო, დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის სამმართველო და სწრაფი რეაგირების სამმართველო) ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან<sup>41</sup>. შრომის ანაზღაურების დაფინანსებაზე 2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული იქნა 10,170.9 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გაწეული იქნა 67,420.9 ათასი ლარის საკასო ხარჯი. 2015 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული იქნა 9,008.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან - 67,642.9 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

შრომის ანაზღაურების მუხლით გახარჯული თანხების სისწორის შემოწმების პროცესში მოსამსახურეთა დანიშვნა-განთავისუფლების ბრძანებების გაცნობის მიზნით აუდიტის ჯგუფის მიერ წერილობით მოთხოვნილი იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა საინფორმაციო პორტალთან (eFlow.mia.ge) დროებითი წვდომის უზრუნველყოფა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის 2016 წლის 7 ოქტომბრის წერილით (MIA 2 16 02522397) აუდიტის ჯგუფს დროებით წვდომაზე უარი ეთქვა.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე აღნიშნული თემის შესწავლისას ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და სტრუქტურული დანაყოფების არასაბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები და მათი განსაზღვრის წესი (რომელიც მოქმედებდა აუდიტის პერიოდში) დამტკიცებული იყო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 14 დეკემბრის N2547457 ბრძანებით. დეპარტამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 აგვისტოს N2169374 ბრძანებით გაუქმდა ზემოაღნიშნული ბრძანება და დამტკიცდა გაერთიანებული (როგორც არასაბიუჯეტო, ასევე საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ თანამშრომელთა) თანამდებობრივი სარგოები და მათი განსაზღვრის წესი.

აღნიშნული ბრძანების (N2169374) 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით (ანალოგიურს ჰქონდა ადგილი N2547457 ბრძანებაშიც) იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვის მომსახურების ღირებულება (ტარიფი) თვეში უმცროს ინსპექტორზე აღემატება 500 ლარს, ხოლო ოფიცრებზე 600 ლარს, თანამდებობრივ სარგოდ მიჩნეულია შესაბამისად 308 ლარი და 341 ლარი. ხოლო შესაბამისად 500 ლარს და 600 ლარს ზევით გადმორიცხული თანხის 85% დანამატის სახით ემატება ხელფასის ოდენობას. აქვე გაკეთებული შენიშვნის მიხედვით 2013 წლის 1 მარტიდან დაცვაში აყვანილ ახალ და დამატებულ ობიექტებზე, აგრეთვე 2013 წლის 1 მარტამდე მოქმედ დასაცავ ობიექტებზე ახალი სამტატო ერთეულის დამატების შემთხვევაში დანამატის ოდენობა 85%-ს მაგივრად განისაზღვრება 50%-ით.

შრომის ანაზღაურების განსაზღვრის ზემოაღნიშნული წესიდან გამომდინარეობს, რომ ერთიდაიგივე ტარიფის გადამხდელ ორ სხვადასხვა ობიექტზე დასაქმებულ ერთიდაიგივე თანამდებობის და რანგის მოსამსახურეს ერთიდაიგივე შრომაში უწესდებათ განსხვავებული ანაზღაურება იმის მიხედვით ეს ობიექტი 2013 წლის 1 მარტამდე არსებობდა, თუ არა. ასევე


<sup>41</sup> 2015 წლიდან სწრაფი რეაგირების სამმართველო გაუქმებული იქნა.

სხვადასხვა ობიექტებზე დასაქმებულ ერთიდაიგივე თანამდებობის და რანგის მოსამსახურეს ერთიდაიგივე შრომაში უწყესდებათ განსხვავებული ანაზღაურება იმის მიხედვით, მისი შტატი 2013 წლის 1 მარტამდე არსებობდა, თუ მას შემდეგ შეიქმნა.

შრომის ანაზღაურების ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაში არ არის შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპთან და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც<sup>42</sup> დაუშვებელია პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება დეპარტამენტის მიერ აღმოფხვრილი იქნას განსხვავება და ყველა ზემოაღნიშნულ მოსამსახურეზე გავრცელდეს 85%-იანი განაკვეთი.

მთავარი აუდიტორი  
გია ნადარეიშვილი

 ..... 12.12.2016წ.

წამყვანი აუდიტორი  
ვალერი სანაია

 ..... 12.12.16წ.

აუდიტორი  
მაკა დიხამინჯია

 ..... 12.12.2016წ.

აუდიტორ-ასისტენტი  
არჩილ ამირხანაშვილი

 ..... 12.12.2016წ.

აუდიტორ-ასისტენტი  
რევაზ გომელაური

 ..... 12.12.2016წ.

<sup>42</sup> საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით.

აუდიტორ-ასისტენტი  
სალომე კვანტალიანი

ს. კვანტალიანი 12.12.2016.

აუდიტორ-ასისტენტი  
თამარ ბარბაქაძე

თ. ბარბაქაძე 12.12.2016.